ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba




„ახალი თაობა“ +„მარკესი“

8 ლარი

14 ივნისიდან 27 ივნისამდე

ჩვენგან დამოუკიდებელი ტექნიკური მიზეზების გამო 13 ივნისის ნაცვლად წიგნი გაიყიდება 14 ივნისს!

სამშაბათი, 14 ივნისი, 2011 №139 (5520) ფასი: 30 თეთრი

# კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტიდან მიდის

გვ.4



## ცაგარეიშვილი: ბაქრაძე კრიმინალებს მფარველობს



გვ.4



## პეტრე ცისკარიშვილი: ჩვენ მედიას პრობლემებს არ ვუქმნით

გვ.2



გვ.5

## კოკოითიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ვადით მონაწილეობაზე უარი თქვა

## კალანდაძე: რუსეთში წასვლას არ გვირჩევს



გვ.7

## ხელისუფლების წყალობით საპროტესტო მუხტი არ განელდება

გვ.3





## სანწვავზე ფასის დაკლება საქართველოზე არ არის დამოკიდებული

გვ.7



გვ.5

## გავა თუ არა „რვიანი“ ქუჩაში

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 სააკაშვილი პუტინთან შეხვედრის წინ ლოცულობდა

3 ხელისუფლება მედიას „კანონიერი მეთოდებით“ ავიწროვებს

4 „ლეიბორისტები“ ბუბა კიკაბიძესა და ოთარ კობერიძეს აკრიტიკებენ

6 ქართველი ხალხი სააკაშვილმა ამერიკის ნაქეზებით დაარბია

# პეტრე ცისკარიშვილი: ჩვენ მედიას პრობლემებს არ ვუქმნით

ნანა მიშელაშვილი

**„მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურის შესვლის საკითხი ბიუროს მსჯელობის თემა გახდა. გასულ კვირას მედიაპალიტრაში შემოსავლების სამსახური შევიდა. ბიუროს სხდომაზე ამ თემაზე საუბარი უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ დაიწყო. თარგამაძეს უმრავლესობის ლიდერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა.**



გიორგი თარგამაძემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პარლამენტი და ბიურო აქტიურად ჩაერთვება და მონიტორინგს გაუწევს ამ პროცესს. თარგამაძემ იმედი გამოთქვა, რომ ათასზე მეტი ადამიანი, რომელიც ამ ჰოლდინგშია დასაქმებული, ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ იქნება.

— რაც მთავარია, ამ ქვეყნაში დაბალანსებული, ობიექტური მედიის ერთ-ერთ ძირითად წყაროს არ გაუჩნდება ისეთი ტიპის საფრთხე, რომელიც ბოლო წლებში არაერთხელ განხორციელდა მედიისა და მედიის წამომადგენლებთან დაკავშირებით. ჩვენ ველით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია უფრო მკაფიო და ნათელი იქნება და არა მხოლოდ განცხადებით შემოიფარგლება, არამედ, ლოგიკურ დასასრულამდე მივა, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერს პასუხი უმრავლესობის ლიდერმა გასცა.

— არ ვიცი ბიუროს სხდომის თემა რამდენად არის მედიაპალიტრის საკითხი, მაგრამ რადგან წამოიწია, არ შემიძლია არ გამოვეხმაურო, რადგან მედიაპალიტრაში შესაბამისი ორგანოები შესამოწმებლად არიან შესულნი არა მედია სახლის ნაწილში — რადიო ან გაზეთში, არამედ გამომცემლობის ბიზნესის ნაწილში. ისინი გაზეთის გარდა ასრულებენ კერძო შეკვეთებს, აქვთ შემოსავლები და მე მგონი, ამ ქვეყანაში არავინ არ არის ხელშეუხებელი, — აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერმა მედიაბიზნესთან დაკავშირებით ამ ხელისუფლების დამოკიდებულებაზეც ისაუბრა. მაგალითად, ცისკარიშვილის თქმით, სახელწიფომ ტელევიზიებს 35 მილიონი ლარი აპატია, რადგან არსებობდა შესაბამისი ნება და პოლიტიკური კონსენსუსი.

— რაც შეხება მედიაპალიტრას, იქ არავინ არ იმყოფება ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. ჩვეულებრივი გეგმიური შემოწმებაა, ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული საგამომცემლო სახლია შემოწმებული და მათ შორის, არც ეს საგამომცემლო სახლია ხელშეუხებელი. დაველოდოთ შემოწმების შედეგების ნახვას, თვითონ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს საგადასახადო ორგანოებთან. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი მოხდება სამართლიანად, გეგმაზომიერად და არავითარი განგაში არ არის ასატეხი, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ყველა მათი მედიაბიზნესი მუშაობს ჩვეულებრივ რეჟიმში და შეფერხება მათ არ შექმნიათ, — აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა.

რაც შეხება პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას, იგი მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის შესვლას და შემოწმებას არანაირი შეფერხება არ მოჰყოლია.

— მე ნამდვილად გავიზიარებდი და გავიგებდი შეშფოთებას, ეს შემოწმება რომ მომხდარიყო იმ ფორმით, რომ ფიზიკურად პრობლემა შექმნოდა მედიაპალიტრის ფუნქციონირებას. მაგრამ იმ პირობებში, როცა არანაირი ფიზიკური შეფერხება ამ შემოწმებას არ მოჰყოლია, ვფიქრობ, ყველა უნდა იყოს შეგუებული იმ აზრს, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს შეუმოწმებელი ორგანიზაცია, მათ შორის, მედია და თუ ნებისმიერი სხვა სტრუქტურა, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ იქვე დაამატა, რომ კონტროლის პალატამ ახლახან დაასრულა პარლამენტის შემოწმება, რაც ჩვეულებრივი პროცესია.

— ნამდვილად არ გამიკეთებია არც ერთი კომენტარი, რომ კონტროლის პალატა გვებრძვის ან რატომ ამოწმებს პარლამენტს. ეს არის სრულიად ბუნებრივი პროცესი. მთავარია, რომ არანაირი ფიზიკური შეფერხება არ მოჰყოლია ამ პროცესს. სხვათა შორის, ბევრმა პოლიტიკოსმა, ვისაც ლომის წილი მიუძღვის არაჯანსაღი აჟიოტაჟის შექმნაში ამ საკითხთან დაკავშირებით, კარგი იქნება მაგალითი აიღონ მედიაპალიტრის ხელმძღვანელობისგან, რომელთა კომენტარი სწორი და კორექტული იყო. არავინ არ ემუქრება პრესის თავისუფლებას, არავინ არ აპირებს არც მედიაპალიტრის ან სხვა მედიასაშუალების შეფერხებას, — აღნიშნა ბაქრაძემ.

ამ განცხადებების შემდეგ მედიაპალიტრასთან დაკავშირებულ თემაზე საუბარი ამოიწურა და ბიუროს სხდომაზე სხვა თემებზე გაგრძელდა მსჯელობა.

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და სომეხთა კათოლიკოსმა ერთობლივი კომუნიკე მიიღეს

საქართველოში ვიზიტად მყოფმა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ერთობლივი კომუნიკე მიიღეს.

საქართველოს და სომხეთის სულიერი ლიდერების ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ორმხრივი ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადადის, რაც საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის და სომხეთში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული სტატუსის თანაზომიერ განსაზღვრას გულისხმობს; ასევე, საქართველოში სომხური (გრიგორიანული) ტაძრების, ხოლო სომხეთში ქართული (დიოფიზიტური) ტაძრების პარიტეტულ საწყისებზე ამოქმედებას-გახსნას. კომუნიკეს თანახმად საქართველოსა და სომხეთის სულიერი ლიდერები ეკლესიათაშორის ორმხრივი კომისიის შექმნას უჭერენ მხარს.



— ჩვენ, სომხეთისა და საქართველოს ეკლესიათა მეთაურებმა, 2011 წლის 11 ივნისს ქ.თბილისში მივაღწიეთ შეთანხმებას ურთიერთგაგებისა და ქრისტესმიერი სიყვარულით თანამშრომლობის შესახებ და ვაცხადებთ შემდეგს:

საქართველო და სომხეთი უძველესი კულტურისა და ისტორიის ქვეყნებია, სადაც ქრისტიანობა I საუკუნეში მოციქულებმა იქადაგეს.

ჩვენს ხალხებს ათასწლეულთა მანძილზე უხდებოდათ ბრძოლა გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და ამ ბრძოლაში ერთმანეთის გვერდზე ხშირად ვიდექით. კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება დღესაც გრძელდება, რისი დადასტურებაცაა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის და თანმხლები პირების ამჟამინდელი ვიზიტი საქართველოში; ამ ვიზიტმა წარმოაჩინა, რომ ჩვენს შორის ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო ვითარდება და ახალ ეტაპზე გადადის, რაც გულისხმობს საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის და სომხეთში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული სტატუსის თანაზომიერ განსაზღვრას; ასევე საქართველოში სომხური (გრიგორიანული) ტაძრების, ხოლო სომხეთში ქართული (დიოფიზიტური) ტაძრების პარიტეტულ საწყისებზე ამოქმედებას — გახსნას. ზემოაღნიშნულის გადაწყვეტის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია: შეიქმნას ეკლესიათშორისი ორმხრივი კომისია;

ეთხოვოს საქართველოსა და სომხეთის ხელისუფალთ, ხელი შეუწყონ წინამდებარე კომუნიკეს დროულად განხორციელებას, — ნათქვამია კომუნიკეში.

**მედიანიუსი**

# რას იტყვის სახალხო დამცველი პარლამენტში

ნანა მიშელაშვილი

**დღეს პარლამენტში სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს ელიან. ომბუდსმენი პარლამენტში საკმაოდ სქელტანიან მოხსენებას წარადგენს. ომბუდსმენის მოხსენება 2010 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის კუთხით არსებულ ვითარებას შეეხება.**



სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტი დადგენილებას მიიღებს. დადგენილების მიღების შესახებ განცხადება გუშინ ბიუროს სხდომაზე პეტრე ცისკარიშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

ამდენად, ბოლო პერიოდის პრაქტიკა ირღვევა და სახალხო დამცველის ანგარიშს ცნობად არ მიიღებენ. ბოლო დროს, ომბუდსმენის ანგარიშს საპარლამენტო უმრავლესობა ცნობად იღებდა, რის გამოც ოპოზიცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

დადგენილების საკუთარი პროექტი აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს. უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ იმედი გამოთქვა, რომ უმრავლესობის წევრები დადგენილების პროექტის განახლებაში ან ახლებურად ჩამოყალიბებაში მონაწილეობას მიიღებენ.

ქრისტიან-დემოკრატებს სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით შვიდპუნქტიანი მოთხოვნა აქვთ. კერძოდ, ამ პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი სამართალდარღვევის ფაქტები თავისი ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, პარლამენტისაგან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

ქრისტიან-დემოკრატების დადგენილების პროექტით, უნდა დაევალოს ქვეყნის შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს, გამოიკვლიონ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები და გარემოებანი და მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცენ.

ქრისტიან-დემოკრატების აზრით, პარლამენტის დადგენილების პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული დანაშაულებრივი ფაქტების პრევენციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას დაევალოს, გამოიკვლიოს ანგარიშში მოხსენებული ფაქტები და გარემოებანი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ 2011 წლის 1 ივლისამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული დანაშაულებრივი ფაქტების შემოწმების შედეგად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ქრისტიან-დემოკრატები ითხოვენ, რომ საქართველოს უფლებამოსილმა სახელმწიფო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სააკაშვილი პუტინთან შეხვედრის წინ ლოცულობდა

სააკაშვილისთვის რუსეთთან ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ პუტინთან შეხვედრის წინ ილოცა კიდეც. ამის შესახებ იულია ლატინინა წერს გამოცემა „ნოვაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ წერილში „საქართველი: ომი და რეფორმა“.

რუსი ჟურნალისტი იხსენებს, რომ არჩევის შემდეგ პირველი ოფიციალური ვიზიტი სააკაშვილმა სწორედ მოსკოვში დაგეგმა.

— სააკაშვილისთვის რუსეთთან ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ პუტინთან შეხვედრის წინ ილოცა კიდეც. შეხვედრა მშვენივრად დასრულდა, პუტინმა ითხოვა: „თქვენ სახელმწიფო უშიშროების ბრწყინვალე მინისტრი გყავთ, ხაბურძანია. არ შეცვალოთ ის“. სააკაშვილი მოსკოვიდან დაბრუნდა და ერთ კვირაში ხაბურძანია გაათავისუფლა უბრალოდ იმიტომ, რომ ბატონი ხაბურძანია ახალი საქართველოს კონცეფციაში არ მოიაზრებოდა. მაგრამ კრემლი გაცოფდა: „მან ჩვენი მეგობარი მოხსნა — ესე იგი, ის ჩვენი მტერია, — პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის თქმით, სწორედ ხაბურძანიას შემდეგ მოეწერა ხელი საქართველოსთან ბრძოლის პირველ საიდუმლო ბრძანებას. მაისში აჭარის დიქტატორის, მოსკოვთან ახლოს მყოფი ასლან აბაშიძის ჩამოგდებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა... კრემლში იფიქრეს „მან ჩვენი მეგობარი მოხსნა — ესე იგი, ის ჩვენი მტერია, — წერს იულია ლატინინა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება მედიას „კანონიერი მეთოდებით“ ავიწროვებს

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან**

***— ბატონო ირაკლი, დღეს საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს მედიაპალიტრაში მიმდინარე პროცესები, როგორია თქვენი შეფასებები, როგორ გაიგეთ ხელისუფლების ქმედება, არის ეს ზეწოლა თავისუფალ მედიაზე?***



— ხელისუფლებას არ სურს გაიმეოროს ის შეცდომები, რაც დაუშვა მან თავად ან რასაც შევარდნაძის დროს ჰქონდა ადგილი. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს ე.წ. „კანონიერი მეთოდებით“ შეავიწროვოს მედიასაშუალებები, განსაკუთრებით ის საშუალებები, რომელთა მიმართ საზოგადოებას მეტი ნდობა აქვს, გამოირჩევიან ობიექტურობით და სამართლიანობით. რაც შეეხება ამ ვითარებას, ხელისუფლებას სურს, რომ საერთაშორისო საზოგადოების დასანახად მოიყვანოს არგუმენტი, რომ ჩვეულებრივად ფინანსური შემოწმება მიმდინარეობს. ეს ფინანსური შემოწმება ჩაივლის, გარკვეულ დარღვევებს აღმოაჩენენ და ღიად ზეწოლა მოხდება არა მედიასაშუალებებზე, არამედ მის ხელმძღვანელობაზე. როგორც ჩვევია ხოლმე ჩვენს ხელისუფლებას, დაიწყებენ ფარულ მოლაპარაკებებს, როგორმე ამ მედიასაშუალებების გაყიდვა ან შეზღუდვა აიძულონ მის ხელმძღვანელებს. ეს ასე ხდებოდა რიგ შემთხვევებში, ამ მედიასაშუალებების მეპატრონეები, რომლებსაც აქვთ ფართო ბიზნესიც და არ სურთ ერთი პრინციპულობის გამო წყალში ჩაყარონ ის, რაც აქამდე შეუქმნიათ და სარგებელს ნახულობენ, შემდგომში ხდება ხოლმე მათი მხრიდან ამის დათმობა. ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის პირდაპირ „პალიტრის“ ხელმძღვანელობაზე, მე იმედი მაქვს, რომ მათი იმიჯი, მათი ძალა და წონა საზოგადოებაში ძლიერი მოტივაცია იქნება იმისათვის, რომ არ დათმოს ამ მედია საშუალებამ საკუთარი პრინციპული პოზიციები საზოგადოების ობიექტური ინფორმირობულობის საქმეში.

***— დღეს ერთსულოვანია საზოგადოება და ყველა სოლიდარობას უცხადებს „მედიაპალიტრას“, მაგრამ რამდენად არის შანსი, რომ ხელისუფლებას წინ აღუდგეს საზოგადოების ძალა?***

— საინტერესოა და უნდა დავსვათ ეს კითხვა, რატომ დაიწყო ხელისუფლებამ „მედიაპალიტრის“ შემოწმება სწორედ ამ პერიოდში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა.

***— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ეს ყველაფერი 26 მაისს განვითარებულ პროცესებს უკავშირდება?***

— მე ვფიქრობ, რომ 26 მაისის შემდგომ როდესაც ადგილი ჰქონდა არაერთ სერიოზულ დარღვევას ადამიანის უფლებებისა, მათ შორის ადგილი ჰქონდა წამებას, უკანონო დაპატიმრებას. მთელი რიგი დარღვევები იყო, რაც ცალ-ცალკე რომ მომხდარიყო დროში, ალბათ საზოგადოება თითოეულ მათგანზე ადეკვატურ რეაგირებას მოახდენდა, მაგრამ მათი დიდი რაოდენობის გამო, ჩვენ შევეგუეთ ამ უკანონობას. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დღეს საზოგადოება დაშინებულია და შეიძლება ესეც გაუვიდეს ხელისუფლებას, მაგრამ როგორც კი პირველ მეორე და მესამე დღეს მიიღო ხელისუფლებამ სერიოზული რეაქცია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, ამ შემთხვევაში პოზიციები შეარბილა. ეს ყოველთვის ასე იქნება, მომავალშიც, რამდენადაც ყოჩაღად დავდგებით სამოქალაქო ინსტიტუტების დასაცავად, მით უფრო გაუჭირდება ხელისუფლებას ჩვენი ინტერესების და უფლებების შელახვა და საკუთარი დიქტატორული მეთოდების გამომჟღავნებაც.

***— რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, როგორ ფიქრობთ, რატომ არ იყო ისეთი მწვავე რეაქცია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, რასაც ნამდვილად ელოდა ქართველი საზოგადოება?***

— მე ვფიქრობ, რომ ცხელ ფონზე საერთაშორისო საზოგადოება მოერიდა სიტუაციის დაძაბვას და დაპირისპირებისთვის ხელის შეწყობას. მეორეც, ზოგადად არსებობს დიპლომატიაში დამოკიდებულება, რომ ხელისუფლებას უნდა მისცე შანსი და თავისუფალი საშუალება რომ თავად მოახდინოს დარღვევებზე რეაგირება. საერთაშორისო საზოგადოებას იმედი აქვს, ყოველ შემთხვევაში ამისთვის დრო აქვს მიცემული, რომ როგორმე ჩაატაროს ხელისუფლებამ გამოძიება და თავად დასაჯოს დამნაშავენი. თუ ეს ყველაფერი არ მოხდება, შემდეგ უფრო მკაცრი იქნება დასავლეთი.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ ამ ფონზე? იგივე რვიანი გეგმავს სამოქალაქო აქტიურობის დაწყებას, შედეგს თუ ელით ამ ყველაფრიდან?***

— შედეგი ყველა შემთხვევაში დადგება. მთავარია ეს შედეგი რამდენად იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანაში რეალურად რაიმე შეიცვალოს და როგორმე მივაღწიოთ ნორმალურ საარჩევნო გარემომდე. ისევ ვიმეორებ, თუ ეს ყველაფერი არ იქნა წარმოდგენილი კომპლექსში, თუ ამას სამოქალაქო საზოგადოებამ მხარი არ დაუჭირა და თუ კვლავაც დაინახა ჩვენმა მოსახლეობამ შიდა დაპირისპირებები, მე ვფიქრობ, გაუჭირდება რვიანს რაიმე მიზნის მიღწევა. ამიტომ არც იმას გამოვრიცხავ, რომ სამოქალაქო საზოგადოება, ან იგივე საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაცილებით აქტიურები იყვნენ, ვიდრე პოლიტიკური ორგანიზაციები.

***— ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს და ალბათ ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია...***

— ძალიან ბევრი რამე არის დამოკიდებული საერთაშორისო ფაქტორზე, ზოგადად რა პროცესები მიმდინარეობს, რა დამოკიდებულება ექნება იგივე შეერთებულ შტატებს ევროკავშირთან, შეერთებულ შტატებს რუსეთთან და მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში ყველა მათგანს. შეიძლება ისეთი სიტუაციაც შეიქმნას, რომ დიქტატურას მწვანე შუქიც კი აუნთონ მარტივი მიზეზის გამო და ეს მოხდეს მარტივი მიზეზის გამო, რომ დასავლეთს მობეზრდა არშემდგარი საქართველო.

# ხელისუფლების წყალობით საპროტესტო მუხტი არ განელდება

## პოლიტიკოსებმა ის უნდა აკეთონ, რასაც ხალხი მოითხოვს

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ნანა დევდარიანთან**

***— ქალბატონო ნანა, ის, რაც ხდება „მედიაპალიტრასთან“ დაკავშირებით საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს ფაქტი დაუკავშირა 26 მაისის მოვლენებს. როგორი იქნება თქვენი შეფასებები ამასთან დაკავშირებით?***

— მე განსხვავებული აზრი ნამდვილად არა მაქვს, იმიტომ, რომ ეს შემოწმებები და დასაშინებელი აქციები ყოველთვის არის ხოლმე პოლიტიკური აქტიურობის შედეგი და ის, რაც „პალიტრამ“ გააკეთა, სინამდვილეში ეს არ არის პოლიტიკური აქტიურობა, მათ თავიანთი პოლიტიკური მოვალეობა შეასრულეს. ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება უნდა აშუქებდეს იმას, რაც ხდება და არა იმას, რასაც აკეთებდა და დღესაც აკეთებს იმედი, მოდელირებული ქრონიკები და რომ ქმნის ახალ ამბებს. ასე რომ, მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის შემთხვევითი და მით უმეტეს, გეგმური და ასე შემდეგ.

***— ეს არის ზეწოლა თავისუფალ მედიაზე?***

— ეს იმდენად ზეწოლა არ არის, როგორც გამაფრთხილებელი ნაბიჯი, რომ თქვენ მანდ ჭკვიანად იყავით, არ იფიქროთ, რომ მხედველობის არედან გაგვექეცით. მიუხედავად იმისა, რომ „პალიტრა“ ზოგადად დაბალანსებულია, ვერ იტყვი, რომ რომელიმე მხარის ინტერესს გამოხატავს. მარტო გაზეთი „პალიტრა“ რომ იყოს, ეს არ მოხდებოდა, ეს ყველაფერი არის იმის გამო, რომ არის „რადიო პალიტრა“ და არის „პალიტრა ტვ“ და სწორედ ამის გამო ხდება ეს. ესენი გაზეთებზე იმდენად არ დარდობენ, ძალიან კარგად იციან, რომ გაზეთებს მოსახლეობის უმეტესობა ან ვერ ყიდულობს, ან ყველაფერს არ კითხულობს, ან ყველა გაზეთს არ კითხულობს. აი, ტელევიზია და რადიო — ეს არის მტკივნეული თემები მათთვის, განსაკუთრებით კი სატელევიზიო თემები. ამიტომ მოხდა ეს.

***— 7 ნოემბრის მოვლენებს „იმედის“ ხელისუფლების ხელში გადასვლა მოჰყვა, ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ ახლაც იგივე განმეორდეს?***

— დღეს რთულია ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში „იმედის“ მაგვარად „პალიტრა“ ასეთი მკვეთრად გამოხატული პოზიციით არ ხასიათდებოდა. თან არ დაგვავიწყდეს, რომ ბადრი პატარკაციშვილს მაინც ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის პრეტენზია. ახლა რატომღაც არავინ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ბადრი ჩინებულ ურთიერთობაში იყო როგორც შევარდნაძის ხელისუფლებასთან, ისე მის ოპოზიციასთან და ყველასთან რაღაც სიტყვა ეთქმოდა. ეს ურთიერთობები გაფუჭდა მას შემდეგ, რაც რევოლუციურმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ საერთოდ არავის აზრი არ უნდა გაითვალისწინოს, მით უმეტეს, იმ ადამიანების, ვინც მათ ეხმარებოდა რევოლუციამდეც და რევოლუციის შემდეგაც.

***— ბადრი პატარკაციშვილის წვლილიც იყო ამაში... საუბარია, რომ ბადრიც სერიოზულად დაეხმარა ვარდების რევოლუციის დროს სააკაშვილის გუნდს...***

— ასე ამბობენ, თუმცა იმასთან შედარებით, როგორც დაეხმარა ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო და არა სამთავრობო სექტორი, თვითონ ბადრის დახმარება გაცილებით მცირე იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, დახმარება იყო, იყო რჩევებიც, განსაკუთრებით ჟვანიასთან. მას შემდეგ, რაც ჟვანია ტრაგიკულად დაიღუპა, ილუზიები ბადრის ნამდვილად არ ჰქონია, რომ ის უბედური შემთხვევა იყო, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაფუჭდა ურთიერთობები.

***— საუბარია, რომ 26 მაისის შემდეგ სააკაშვილის ტონი უფრო ომახიანი გახდაო, თქვენი აზრით, რითია ეს განპირობებული, მას ჰგონია, რომ საზოგადოება დააშინა და პროტესტის გრძნობა ჩაუკლა?***

— მე მგონია, რომ ეს ასე არ არის. ეს უფრო, იცით, რას ჰგავს? საკუთარ თავს რომ შეიგულიანებს ადამიანი. საბრძოლველად რომ მიდიან ადამიანები და გარკვეულ ყიჟინას რომ დასცემენ ხოლმე და შეძახილებით აშინებენ მოწინააღმდეგეს, დაახლოებით ასეთი ტონი გამოუვიდა სააკაშვილს. ის უფრო სხვას აჩვენებს — მაგარი ვარო, ვიდრე თვითონ სჯერა ამის.

***— რატომ არ მოჰყვა 26 მაისის მოვლენებს მწვავე რეაქციები დასავლეთის მხრიდან?***

— ჯერ ერთი, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ მარტო ჩვენ საკუთარ თავზე ვართ ხოლმე ფოკუსირებული და გვგონია, რომ რაც აქ ხდება, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის. როცა ჩვენი ოპოზიციის დიდი ნაწილი ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს იქნება ეგვიპტის რევოლუციის გაგრძელება და ასე შემდეგ, მხედველობიდან უშვებენ მთავარს, იქ იმდენად მასშტაბურია მოვლენები, იმისდა მიუხედავად, რომ ეს ჩვენთვის აუწონელი ტრაგედიაა, 4-5 ადამიანის დაღუპვა არაფერი არ არის დასავლეთის თვალში, ალბათ, დამეთანხმები. ცალკეულ შეტაკებებს მიტინგებისას, ზოგან 40 და 50 ადამიანიც ემსხვერპლა. აქ როგორ ექნებათ უფრო მეტი რეაქცია, ვიდრე იქ მომხდარზე, როცა ათეულობით და ზოგან ასეულობით ადამიანიც იღუპება. ამიტომ ამას უნდა მოვეშვათ ჩვენ, რომ აი, ჩვენ ვართ მთავარი და ჩვენზე რატომ არ გააკეთეს რეაქცია და ასე შემდეგ. იმ მასშტაბებთან შედარებით ეს არის გაცილებით ნაკლები.

***— როგორ ფიქრობთ, რა იყო სახალხო კრების შეცდომა ამ აქციების დაწყებისას?***

— მე ვფიქრობ, რომ შეცდომა დაშვებული იქნა თავიდან, როდესაც ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ასოცირებული იყო სახალხო კრებასთან, აღმოჩნდა ნინო ბურჯანაძე. თუ პოლიტიკოსებს მიიღებდა თავისთან სახალხო კრება, მაშინ ფართო სპექტრი უნდა მიეღო ოპოზიციის და ამას ექნებოდა გარკვეული გამართლება, მაგრამ როცა მთელი ოპოზიციიდან მხოლოდ ნინო ბურჯანაძეზე შეჩერდა არჩევანი, ამან, რა თქმა უნდა, დანარჩენი ოპოზიციის წარმომადგენლები კიდევაც შეაფერხა, რომ მიერთებოდნენ და ზოგი პრინციპულადაც არ მიუერთდა. მე ვფიქრობ, რომ თავიდან ეს ჯანსაღი იდეა, რომ ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ სახალხო მოძრაობა და არა რაღაც პოლიტიკური აქტივობის მქონე ორგანიზაცია, აი, ეს დაიკარგა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საერთო სახალხო მოძრაობა. ეს იყო მთავარი შეცდომა და მერე დანარჩენების კასკადი მიჰყვა ამ ერთ შეცდომას. სხვათა შორის, ვინც იწყებდა სახალხო კრებას, იმ ბირთვიდან ბევრმა დატოვა მისი რიგები, სწორედ იმის გამო, რომ ასეთი არჩევანი გააკეთა დანარჩენმა ნაწილმა სახალხო კრების, რომ ბურჯანაძე ყოფილიყო ლიდერი. ამდენად, შეცდომებზე თუ ვილაპარაკებთ, ეს ერთი შეცდომა დაუშვა ჩემი სუბიექტური აზრით სახალხო კრების ლიდერებმა, ხოლო დანარჩენი შეცდომები, რასაც შემდეგ 26 მაისი ამ სახით მოჰყვა, ეს უკვე ნინო ბურჯანაძის „დამსახურებაა“, იმიტომ, რომ პოლიტიკური ლიდერი თუ ხარ, შენ განსხვავებით ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან და სამოქალაქო საზოგადოებისაგან, გაცილებით მეტი გაქვს პასუხისმგებლობაც და მეტიც მოგეთხოვება ასეთ მძიმე ვითარებაში; ასე რომ, აქ შეცდომები ორ ნაწილად უნდა გავყოთ, პირველადი შეცდომები, რაც სახალხო კრებამ დაუშვა და ბოლო შეცდომები, რომელიც ნინო ბურჯანაძემ დაუშვა.

***— ფიქრობთ, პოლიტიზებული რომ არ გამხდარიყო სახალხო კრება, მეტი მხარდაჭერა ექნებოდა?***

— ბოლოს ის მაინც გახდებოდა პოლიტიზებული, იმიტომ, რომ როდესაც ხალხი გამოდის ქუჩაში, პოლიტიკოსები რისი პოლიტიკოსები არიან თუ იქ არ მივლენ, სადაც ხალხი იქნება. ბოლოს ეს მაინც იქნებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შეკრებილიყო ეს სახალხო კრება და მერე ყველა პოლიტიკური პარტია მიერთებოდა, ეს რამხელა მასშტაბს შეიძენდა და თვალწინ გვაქვს, რაც მოხდა, როცა მარტო ნინო ბურჯანაძე იყო.

***— ამას ყველაფერს მოყვა ხელისუფლების ბრალდებები, რომ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომ აქ იყო რუსული კვალი და ასე შემდეგ...***

— ეს იმდენად არასერიოზულია, რომ მართლა რომ იყოს რუსული კვალი, მე მგონი აღარავინ არ დაიჯერებს, იმდენად არასერიოზულია ის ვერსიები, რაც ჩვენ მოვისმინეთ.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ, რამდენად შეძლო ხელისუფლებამ სახალხო კრების ლიდერთა პოლიტიკური დისკრედიტაცია და რამდენად ჩაკლა საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი?***

— არა, 28 მაისმა აჩვენა, რომ არაფერი მაგის მსგავსი არ მომხდარა. პირადად მე, როგორც ერთი მოქალაქე ვარ ძალიან მადლიერი 28 მაისის აქციის ორგანიზატორების. ერთადერთი ფუნქცია ამ აქციას ჰქონდა სწორედ ეს, რომ დაენახვებინა ხალხისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც, რომ მათ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ვერც ვერავინ ვერ დააშინეს და პირიქით, რაც მეტი იქნება ძალადობა, მით მეტი იქნება პროტესტი. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს დიდ წილად არის დამოკიდებული იმ ხალხზეც, ვინც 28-ში გამოვიდა და ეს ის რაოდენობა იყო, რომელმაც ცხადყო, რომ ეს ხალხი არ მივიდა 26-ში. რომ მისულიყვნენ იქ გაცილლებით მეტი ადამიანი იქნებოდა და სხვათა შორის, მსხვერპლიც გაცილებით მეტი იქნებოდა. ასევე დამოკიდებულია იმაზეც, რა დასკვნებს გამოიტანს ბურჯანაძე, რა დასკვნებს გამოიტანს სახალხო კრების ბირთვი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია ამ მუხტის შენარჩუნება?***

— ჩვენი ხელისუფლება ისე „ჭკვიანად“ იქცევა, რომ ის ნამდვილად არ გაანელებს პროტესტის მუხტს, არ მისცემს ხალხს ამის საშუალებას. ყოველდღე ახალ-ახალს აშავებენ და...

***— რაც შეეხება ოპოზიციურ რვიანს, ყველამ ვნახეთ, რომ კრახით დასრულდა მათი დიალოგი ხელისუფლებასთან და ახლა ისინი სამოქალაქო აქტივობისთვის ემზადებიან, თქვენიო აზრით, რამდენად შედეგიანი იქნება ეს ყველაფერი?***

— ძალიან რთული სათქმელია. იმ შეხვედრაზე მეც ვიყავი „თბილისი მარიოტში“ და დათო უსუფაშვილმა თქვა ის, რასაც ბევრი კულუარებში ლაპარაკობს: ვინც რესპუბლიკელების გამო არ უჭერთ მხარს რვიანს, დაუჭირეთ, მაგალითად, ეროვნული ფორუმის გამო. ძალიან კარგად ხვდებიან, რომ იქ სხვადასხვა სუბიექტების მიმართ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ცაგარეიშვილი: ბაქრაძე კრიმინალებს მფარველობს

ნანა მიშელაშვილი

**დამოუკიდებელი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს უპირისპირდება. ცაგარეიშვილის აღშფოთების მიზეზი ის გახდა, რომ დეპუტატის მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხოდ დატოვა.**

ცაგარეიშვილი სხვადასხვა საპატიმროებში მოთავსებული 38 პატიმრის მონახულებას მოითხოვს, რისთვისაც მას პარლამენტის თავმჯდომარის ნებართვა სჭირდება. ნებართვის მისაღებად დეპუტატმა პარლამენტის თავმჯდომარეს 30 მაისს მიმართა.

რეგლამენტის მე-17 მუხლის შესაბამისად, ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვს, ნება დართოს იზოლატორში მყოფი 38 პატიმარი მოინახულოს. თუმცა, ამ დრომდე, ბაქარაძისგან ცაგარეიშვილს პასუხი არ მიუღია.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, ისევე როგორც უმრავლესობა, ხელს აფარებს იმ დამნაშავე პირებს, რომლებიც დღემდე აგრძელებენ დაკავებულების წამებას.

ცაგარეიშვილს სურს მოინახულოს თბილისის ნომერ პირველ დროებითი მოთავსების იზოლატორში 3 პატიმარი, თბილისის ნომერ მეორე დროებით იზოლატორში მოთავსებული 25 პატიმარი და რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში 10 პატიმარი.

— მე მქონდა დადასტურებული მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ იზოლატორებში მიმდინარეობს დაკავებული პირების შეურაცხყოფა, ფიზიკური ზეწოლა, რათა ამ პირებს გამოძიებისთვის მიეცა სხვადასხვა ჩვენებები, ჩვენებები დაკავშირებული ე.წ. შეთქმულებასთან საქართველოს წინააღმდეგ, რომ ისინი წინასწარი განზრახვით მობილიზებული იყვნენ რუსთაველის გამზირზე, რათა სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა მიეღოთ. ასევე ჩვენებები დაკავშირებული ქალბატონი ბურჯანაძის ესკორტის გაქცევასთან და იმ მოვლენებზე, რაც ესკორტის წასვლას მოჰყვა. გამოძიების მონაცემებით, რამდენიმე ადამიანი შეეწირა ესკორტის გაცლას რუსთაველის გამზირიდან, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი რეგლამენტსაც აფასებს და მას საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ადარებს. ცაგარეიშვილის მტკიცებით, პარლამენტის რეგლამენტი მკვდრადშობილ აქტად იქცა, რადგან ჯერ დაბადებული არ იყო, უკვე გარდაცვლილი იყო.

— ყოველ შემთხვევაში, ეს რეგლამენტი უმცირესობის ინტერესებს არ ითვალისწინებს. პარლამენტის რეგლამენტს რომ ვკითხულობ, მაგონდება სტალინის მიერ 1937 წელს დაწერილი კონსტიტუცია, სადაც ეწერა, რომ ნებისმიერ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლა შეუძლია. როგორ წარმოგიდგენიათ, რომელიმე რესპუბლიკას რომ გაებედა საბჭოთა კავშირიდან გასვლა, რა დაემართებოდა? საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია დაწერის დღიდან მკვდრადშობილი იყო, ისევე როგორც დაწერის დღიდან მკვდრადშობილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი ასევე იხსენებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ერთი წლის წინაც მიმართა და ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლა ითხოვა, მაგრამ ეს მიმართვაც უპასუხოდ დარჩა. ცაგარეიშვილის თქმით, ამ დაწესებულებაში პატიმრებს ყოველდღიურად უწევთ არსებობისთვის ბრძოლა, ბრძოლა უწევთ იმისთვის, რომ დღე გაუთენდეთ.

— ამ დაწესებულების ჯალათებსაც ბატონი ბაქრაძე ხელს აფარებს იმიტომ, რომ მან ძალიან კარგად იცის რა ხდება იზოლატორებში, საპატიმროებში, ციხეებში, როგორ არის დაცული საქართველოს მოქალაქეების უფლებები. პარლამენტის თავმჯდომარე ყველანაირი საშუალებით ცდილობს, რომ ფხიზელმა თვალმა, პირუთვნელმა თვალმა არ შეაღწიოს საპატიმროებში, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა პრეზიდენტის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადებაც გაიხსენა, რომელიც ნულოვან ტოლერანტობას შეეხება. დეპუტატი ამბობს, რომ სწორედ ამის შედეგია ის, რომ ციხეებში 25 ათასამდე პატიმარია მოთავსებული.

— აღმოჩნდა ის, რომ ქართულ ციხეებში



ადამიანებს თავებს პარსავენ, კორიდორებში ატარებენ, ფაქტიურად ტყავს აძრობენ, ბერიას და ეჟოვის მეთოდებით უსწორდებიან, — ასე შეაფასა ცაგარეიშვილმა ვითარება და ცნობილი კომპოზიტორის ევგენი მიქელაძის წამების ფაქტი გაიხსენა.

— რით განსხვავდება ქალბატონი კალმახელიძის, ბატონი ახლაიას ან მერაბიშვილის მეთოდები ეჟოვის მეთოდებისგან, როდესაც პატიმრებს აშიშვლებენ და კორიდორებში ატარებენ 21-ე საუკუნის ქართულ ციხეებში? თანაც, თავქუდმოგლეჯილი გარბიხართ ევროკავშირისკენ, ემანდ ფეხი არ დაგიცდეთ სადმე და ქსნის მოსახვევში არ გადავარდეთ, — მიმართა ცაგარეიშვილმა უმრავლესობას.

ოპოზიციონერი დეპუტატი ქართულ მართლმსაჯულებას შერჩევითს უწოდებს, ხოლო ციხეებს კი ყვარყვარეს ციხეებს ადარებს.

ცაგარეიშვილის ამ განცხადებას გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე არ გამოხმაურებია. ამდენად, უცნობია, აპირებს თუ არა სპიკერი ოპოზიციონერი დეპუტატისთვის ნებართვის მიცემას, რათა ცაგარეიშვილი სამ დაწესებულებაში შევიდეს დაკავებულების მოსანახულებლად.

# კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტიდან მიდის

ნანა მიშელაშვილი

**პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს ტოვებს. კონსტანტინე გამსახურდია სხვადასხვა ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლად ინიშნება.**

პარლამენტში უკვე შევიდა პრეზიდენტის ხელმოწერილი მიმართვა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას ახალ თანამდებობა-



ზე დანიშვნას ეხება. გამსახურდია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ინიშნება.

პარლამენტი გამსახურდიას კანდიდატურას უახლოეს პლენარულ სხდომაზე დაამტკიცებს. მანამდე კი მის კანდიდატურაზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში იმსჯელებენ.

აქამდე ვრცელდებოდა კულუარული ინფორმაცია, რომ გამსახურდიას ავსტრიაში ან შვეიცარიაში ელჩობა სურდა, თუმცა, ამ ქვეყნებში ელჩობის ნაცვლად გამსახურდია სულ სხვაგან ინიშნება.

რამდენად ერკვევა გამსახურდია ტელეკომუნიკაციის პრობლემებში ან რამდენად იცის მეტეოროლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, ეს ამ დრომდე უცნობია. ამ მიმართულებით, გამსახურდიას თავი აქამდე არასდროს გამოუჩენია. გამსახურდია აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალისტია. ის რამდენიმე წლის მანძილზე შვეიცარიის ლტოლვილთა ფედერალურ სამსახურში ექსპერტად მუშაობდა. ახლა კი, ახალ პოსტზე ინიშნება. ცნობილია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტიდან წასვლას ხელს არავინ შეუშლის.

ამბობენ, რომ ერთ-ერთი პოსტი, რომლის დაკავებაც გამსახურდიას სურდა, პარლამენტის ვიცესპიკერობა იყო. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ პარლამენტში ახალი ფრაქცია შეიქმნებოდა. ახალი ფრაქცია ვერ შეიქმნა, ამდენად, გამსახურდია ვიცე-სპიკერი ვერ გახდა. სამაგიეროდ, სხვა პოსტი მიიღო.

თავის დროზე, გამსახურდია ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელმაც ჯერ მანდატი დახია, შემდეგ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების წყალობით პარლამენტში შევიდა და დროებითი კომისიის თავმჯდომარე გახდა.

2009 წლის 3 ნოემბრის შემდეგ გამსახურდია პარლამენტის წევრი გახდა და თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში იმ კომისიას ხელმძღვანელობდა, რომელიც პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების დადგენაზე მუშაობდა. მას შემდეგ, რაც კომისიას უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, გამსახურდია რიგით დეპუტატად დიდხანს არ დარჩა, მას სხვა თანამდებობა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოუძებნეს.

მას შემდეგ, რაც გამსახურდია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნება, მას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდება.

# რას ითქვის სახალხო დამცველი პარლამენტში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ორგანოებმა უზრუნველყონ სათანადო გამოძიება კოლექტიური ცენტრებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა არანებაყოფლობითი გამოსახლების ფაქტების, ასევე უზრუნველყონ კოლექტიური პრივატიზაციის სათანადოდ რეგულირება და გატარდეს ყველა აუცილებელი ზომა მომავალში იძულებით გადაადგილებულ პირთა არანებაყოფლობით გასახლების შემთხვევის არდასაშვებად.

ფრაქციის წევრები მიიჩნევენ, რომ საქართველოს უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საჩივრების სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების შესახებ და უნდა აღძრან სისხლისსამართლებრივი დევნა ეჭვმიტანილ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ქრისტიან-დემოკრატების მოთხოვნით, შესაბამისმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად. კერძოდ, გააუმჯობესონ დაკავების ადგილებში ჰიგიენური, კვებისა და საერთო პირობები და სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პატიმართა სიკვდილიანობის და წამების თითოეული შემთხვევის დაუყოვნებლივ გამოძიება.

ქრისტიან-დემოკრატების შეფასებით, სახალხო დამცველის ანგარიში ავლენს ბავშვთა უფლებების დარღვევის შემაშფოთებელ ფაქტებს და შესაბამისად, ითხოვენ, დაევალოს საქართველოს მთავრობას „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ხელმძღვანელობის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმების დანერგვა და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე ზრუნვის თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული რეფორმის გატარება, რათა სისტემაში არსებული პრობლემები გადაიჭრას.

თარგამაძის ფრაქცია ითხოვს, დაევალოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, განახორციელოს ეფექტიანი და ქმედითი კონტროლი „2010 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული კანონსაწინააღმდეგო ფაქტების, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოძიებისა და რეკომენდაციების შესრულებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე.

სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა პარლამენტში 14 ივნისს დღის მეორე ნახევარში დაიწყება. ანგარიშის მოსმენის შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარეები და ცალკეული დეპუტატები განცხადებას გააკეთებენ.

სახალხო დამცველს სხვადასხვა უწყების მიმართ 308 რეკომენდაცია აქვს. რას გაიზიარებს და რას არა პარლამენტი? წინასწარ ცნობილია, რომ სახალხო დამცველის საკმაოდ კრიტიკული მოხსენების მიუხედავად, მმართველი გუნდი არც ერთი კონკრეტული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე უმრავლესობის წევრებს არც ერთი თანამდებობის პირის მისამართით პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

სახალხო დამცველის ანგარიში საკანონმდებლო ორგანოში მარტის ბოლოს შევიდა. ანგარიში უკვე განხილულია უმცირესობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში. ამ ანგარიშში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პატიმართა მდგომარეობაზე, ციხეებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის გაზრდაზე, ბავშვთა სახლებში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, დევნილთა უფლებების დარღვევასა და სხვა საკითხებზე.

# ხელისუფლების წყალობით საპროტესტო მუხტი არ განელდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დამოკიდებულება არის განსხვავებული. საარჩევნო ბლოკები როცა იქმნება ხოლმე, ყოველთვის სხედან ხოლმე პოლიტტექნოლოგები და ფიქრობენ, რომ რომელიმე სუბიექტების ერთად ყოფნა ბლოკში ხმებს მოუმატებს თუ დააკლებს. პრიმიტიულად რომ მიუდგე, ზოგს ჰგონია, რომ ერთად თუ ვიქნებით, ჩემი და იმისი ამომრჩეველი დაემატება ერთმანეთს და უფრო მეტ ხმებს მივიღებთ და ძალიან ხშირად პირიქით ხდება ხოლმე, მე შეიძლება ერთ სუბიექტს ვუჭერდე მხარს, მაგრამ როგორც კი მის გვერდით დავინახავ მეორეს, ხმას აღარ მივცემ. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ბლოკის შექმნით ხმები დაკარგო კიდევაც და ეს ძალიან კარგად იციან პოლიტიკოსებმა. ის, რომ ისინიც ასევე სამოქალაქო საზოგადოებას მიმართავენ, მე ვთვლი, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა უკანასკნელ წლების ქართულ პოლიტიკაში, იმიტომ, რომ პოლიტიკოსები როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ თვითონ კი არ არიან მთავარნი, მთავარია ხალხი, საერთოთ ხელისუფლების წყაროა ხალხი. ამიტომ ხალხი რასაც მოითხოვს და რასაც იტყვის, ის უნდა აკეთონ პოლიტიკოსებმა.

# „ლეიბორისტები“ ბუბა კიკაბიძესა და ოთარ კობერიძეს აკრიტიკებენ

„ლეიბორისტები“ მსახიობების, ბუბა კიკაბიძის და ოთარ კობერიძის განცხადებებს აკრიტიკებენ. როგორც დღევანდელ ბრიფინგზე „ლეიბორისტული პარტიის“ გენერალურმა მდივანმა, სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, მსახიობ ბუბა კიკაბიძისთვის საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ღმერთის გამოგზავნილია.

— ბუბა კიკაბიძის განცხადებით, საქართველოსთვის მიხეილ სააკაშვილი ღმერთს გამოუგზავნია. თუმცა, ეს დესპოტი გამოგზავნა არა უფალმა, არამედ კალიფორნიელმა მილიარდელმა, კერკ კერკორიანმა დავალებით, დაეშალა ღვთისმშობლის ქვეყანა, რაც სააკაშვილმა წარმატებით შეასრულა გოდერძის უღელტეხილის ქვეშ გვირაბის გაყვანის ჩათვლით, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

მისივე თქმით, გოდერძის უღელტეხილის ქვეშ გვირაბი გაჰყავთ, რაც „ლეიბორისტების“ ვარაუდით, კერკ კერკორიანის გეგმის ნაწილია და აღნიშნული გვირაბი იმ ფუნქციას შეასრულებს, რაც თავის დროზე როკის გვირაბმა გააკეთა, ამით კი, საქართველოსთვის სამხრეთ რეგიონის ჩამოცილების გეგმაა დასახული.

სოსო შატბერაშვილმა ოთარ კობერიძის მისამართითაც გააკეთა განცხადება.

— ოთარ კობერიძემ თქვა, რომ ვინც სპეცრაზმელებზე იტყვის ძვირს, ენას ამოვაძრობო. ჰოდა, კობერიძეს, ბატონ ბუბას და მის თანამოაზრეთ, მათი ახალი ღმერთის — კერკ კერკორიანის პორტრეტს გავუგზავნით, ჩასვან ჩარჩოში და ილოცონ, — აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, კერკ კერკორიანის ფოტოებს ბუბა კიკაბიძეს და ოთარ კობერიძეს „ლეიბორისტები“ გუშინვე გადაუგზავნიან ფოსტით.

**ინტერპრესნიუსი**

# გავა თუ არა „რვიანი“ ქუჩაში

**პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ ერთ-ერთია იმ პარტიათაგან, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებშია ჩართული.**

ნათია ხურცილავა

გასულ კვირას „რვიანმა“ თავისი პოზიცია წარმოადგინა მოლაპარაკებების ჩიხში შესვლასთან დაკავშირებით და როგორ წარმოუდგენია მას აღნიშნული პროცესის გაგრძელება.

როგორია პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“-ის პოზიცია აღნიშნულ საკითხზე და როგორ წარმოუდგენიათ პროცესების გაგრძელება, ამ საკითხებზე „ჩვენ თვითონ“-ის წარმომადგენელს, **ლევან გაბრიჩიძეს** ვესაუბრეთ:

***— „რვიანი“ ქუჩაში აპირებს გასვლას, თქვენი პოზიცია როგორია?***



— ქუჩაში გასვლა არ ნიშნავს ისეთ აქციებს, რომელიც მაისის ბოლოს ვნახეთ. როგორც მივხვდი, ეს აქციები მიმართული იქნება იმაზე, რომ ხელისუფლება და საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნონ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია რამის მიღწევა. თუ არ მოხდა შეთანხმება, ამ შემთხვევაში ჩიხში შევდივართ, ხელისუფლება ვინმესთან მაინც უნდა შეთანხმდეს. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ის, რომ „რვიანში“ არ ვართ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ ბევრ წინადადებას, რომელიც „რვიანშია“. იმ ეტაპზე, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ერთმანეთს მხარს ვუჭერდით ბევრ საკითხზე. რეალურად საარჩევნო საკითხზე მოლაპარაკებები საერთო ქართული საქმეა და არავითარი მნიშნელობა არ აქვს, კონკრეტულად იქნები თუ არა „რვიანში“, თუ ეს ყველაფერი განხორციელდა. შემდეგ არჩევნებში უნდა გაირკვეს, ვინ რომელ ბლოკში ან პოლიტიკურ გაერთიანებაში იქნება ან ცალკე იყრის კენჭს.

***— ისე, „რვიანის“ გზას ეწინააღმდეგებიან „ახლები“, თქვენ?***

— თუ ეს აქცია იქნება მშვიდობიანი, რეალურ გეგმებს დასახავს და თუ ეს იქნება მანიფესტაცია, როგორც უცხოეთში და არ გადაიზრდება ხულიგნურ აქციაში, სამწუხაროდ, როდესაც რამდენიმე ათასი ადამიანი აპირებს ხელისუფლების შეცვლას, ეს მართლაც ჰგავს ხულიგნობას, ორგანიზატორთა მხრიდან ვგულისხმობ, ჩვეულებრივ მოქალაქეს შეიძლება ბევრი რამე არ ესმოდეს, მაგრამ ორგანიზატორს, რომელიც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა ორჯერ, უნდა ესმოდეს, რომ ათასმა კაცმა არ უნდა გადაწყვიტოს, სად ჩატარდება აღლუმი და სად არა. მეორე საკითხია, ხელისუფლების პრინციპული პოზიცია, მაგრამ ეს ხელისუფლება ვალდებულებებსაც იღებს, როდესაც ის ხელისუფლებაში მოდის. ოპოზიციაში არიან ის ადამიანები, რომლებსაც სულ არ უნდოდათ იმ სახით ხელისუფლების შეცვლა. სახელმწიფოს და მის სათავეში მყოფ ადამიანებს აქვს გარკვეული ვალდებულებები.

***— თუნდაც დაღუპული ადამიანების წინაშე...***

— რა მოხდა, ეს გამოძიების საგანია. მე ვსაუბრობ არა დაღუპულ ადამიანებზე, არამედ აქციის ორგანიზატორებზე. რასაკვირველია, თუ ადამიანები პოლიციის გადამეტებული მოქმედებების გამო დაილუპნენ, გამოძიება უნდა ჩატარდეს. ამას საზოგადოება უნდა აკვირდებოდეს. მე ვსაუბრობ აქციებზე, რა ტიპის აქციები გვინდა. ჩვენ თუ გვინდა ცხოვრება ასე გავაგრძელოთ, რომ დაუსრულებლად აქციების გზით შევცვალოთ ხელისუფლება, ეს ხომ არ არის რეალური გზა. ეს გზა ჩვენ 2003 წელს გავიარეთ. ყველაზე კარგი ანტირეკლამა რევოლუციების არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ყველანაირად გაუქარწყლა ადამიანების დიდ ნაწის იმედები რევოლუციური გზის. ვხედავთ, რომ რვოლუციურმა გზამ არ გაამართლა. რევოლუციით მოსული ხელისუფლება აუცილებლად ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას. როდესაც ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოდის პოლიტიკური ძალა, ის ყოველთვის მზად არის, რომ მან შეიძლება არჩევნები წააგოს, მაგრამ როდესაც ძალადობის გზით მოდიხარ ხელისუფლებაში, თვლი, რომ ყველანაირი ძალადობაა იმისთვის საჭირო, რომ შეინარჩუნო ხელისუფლება და აღარც ერიდები ამ ძალადობას. როდესაც ჩვენ ვამბობთ არჩევნების ჩატარებას დემოკრატიის გზით, ეს არ არის პოპულარული ხშირ შემთხვევაში, მაგრამ ნაჩქარევი გზით ეს ვერ ამართლებს. აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნები 30-40 წელია გადატრიალებით, რევოლუციით ცვლიან ხელისუფლებას და წინსვლა საერთოდ არ აქვთ. ჩვენც 20 წელია ყოველთვის ვჩქარობთ, არ გაამართლა, მოდი, გადავაგდოთ, მაგრამ შედეგად რას ვიღებთ.

***— ისევ არჩევნების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, დღეს პროცესი ჩიხშია შესული...***

— ბევრი „რვიანისკენ“ ისვრის ქვებს, ბევრი წონადი პარტიაა იქ, მაგალითად „ქრისტიან-დემოკრატები“, ყველანაირი გამოკითხვებით მეორე ადგილზე არიან, აქედან გამომდინარე, „რვიანმა“ თავის თავზე დიდი პასუხისმგებლობა აიღო, მაგრამ მეორე საკითხია, საიდან წამოვიდა ინიციატივა. ინიციატივა ხელისუფლებისგან წამოვიდა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ხელისუფლებაზე საერთაშორისო ზეწოლა დიდია, ამიტომ დავსხედით მოლაპარაკების მაგიდასთან. ჩვენ არ ვიყავით ინიციატორი, რომ გინდა თუ არა ვისაუბროთ. საუბარია იმაზე, რომ ასე გაგრძელება, რომ არჩენები ისევ ასე ჩატარდეს, საზოგადოების დიდ ნაწილს აღარ მოსწონს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოება ხვალ შურდულებით და ქვებით ხელისუფლების ჩამოსაგდებად გაემართება, მაგრამ რა მომენტში გავა ეს ზღვარი, ჩევნ არ ვიცით. ჯერჯერობით საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია. ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა იყოს, რომ საზოგადოებას სძინავს. საზოგადოება შედეგს ელოდება. ხელისუფლება ვერც ჩვენ და ვერც „რვიანს“ ვერაფერს ვერ გვეუბნება საინტერესოს და ახალს.

***— რატომ ვერ გეუბნებათ, როგორ ფიქრობთ?***

— შეიძლება რაღაც პოლიტიკური თამაშის მოლოდინია, როგორ განვითარდება მოვლენები და რისი დათმობა მოუწევს. გასაგებია, რომ დღევანდელ საარჩენო სისტემაში ხელისუფლება ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს, ცუდია და არ ვარგა. უნდა გვესმოდეს, რომ არ არსებობს უნივერსალური სისტემა. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადსახვანაირად ირჩევენ დეპუტატებს, პრეზიდენტებს და ა.შ. მაგრამ ყველა სისტემა ამა თუ იმ ქვეყანაზეა მორგებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში აბსოლუტურად მაჟორიტარული სისტემაა, ჩეხეთში შერეულია. ჩვენ ვამბობთ, როგორ უნდა მოვახერხოთ ისეთი ტიპის არჩევნების

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# კოკოითიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ვადით მონაწილეობაზე უარი თქვა

**დღეს სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ბედი გადაწყდება. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო დღეს გამოიტანს განაჩენს, ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი. უზენაესი სასამართლოს დადებითი პასუხის შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობაზე ორ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა.**
**ამ რეფერენდუმით უნდა გაირკვეს, უნდათ თუ არა ადგილობრივებს, რომ სახელმწიფო ენად ოსურთან ერთად რუსულიც გამოცხადდეს. რეფერენდუმის მთავარი მუღამი კი სულ სხვა რამ გახლავთ.**



თეა მარხვაი ე

სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, ერთსა და იმავე პირს პრეზიდენტის პოსტის დაკავება ორჯერ შეუძლია. რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, მესამედაც მისცემს თუ არა ერთსა და იმავე პიროვნებას პრეზიდენტის პოსტის დაკავების უფლებას.

რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით პირველი სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასიევი გამოვიდა. როგორც ამბობენ, ამის ინიციატორი თავად კოკოითი იყო. გასაგები მიზეზების გამო ის ამას ხმამაღლა ვერ გააჟღერებდა. ამიტომაც სხვას ათქმევინა.

რეფერენდუმის ინიციატორებმა ძალიან სწრაფად მოაგროვეს საჭირო ხელმოწერები. ცოტა ხნის წინ ის უზენაეს სასამართლოში წარადგინეს. პასუხს დღეიდან ელოდებიან.

ამ რეფერენდუმთან დაკავშირებით ცხინვალში დიდი ჟრიამული ატყდა. კოკოითის პარლამენტის თავმჯდომარეც კი დაუპირისპირდა. მისი განცხადებით, ყველამ პატივი უნდა სცეს კონსტიტუციას.

კონსტიტუციის მიმართ პატივისცემას კოკოითი რუსულ მედიასთან საუბარში ხშირად აფიქსირებდა. თუმცა, როცა ვადა ამოეწურა, გადაწყვიტა ბედი კიდევ ერთხელ ეცადა.

ეს იდეა მას არც კრემლში მოუწონეს. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მაისის თვეში გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ კონსტიტუციას ყველამ პატივი უნდა სცეს. რუსების თქმით, არც ერთი პოლიტიკოსი არ უნდა შეეცადოს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას.

კოკოითი თავიდან დუმდა. არც რუსეთის პოზიციაზე ამბობდა რამეს და არც ოპოზიციის კრიტიკაზე. მისი ოპოზიცია ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდა. ისინი აქციებსაც უწყობენ კოკოითის. ოღონდ ამის გაკეთებას ცხინვალში ვერ ბედავენ. აქციები ვლადიკავკაზში იმართება.

ამ აქციების ორგანიზატორი ძამბოლატ თედეევი გახლავთ. ის რუსეთის პრემიერთან დაახლოებული პირია. როგორც ამბობენ, რუსეთმა შესაძლოა მასზე გააკეთოს არჩევანი. რამდენიმე დღის წინ მან პირობა დადო, რომ უკანონო რეფერენდუმს ჩაშლიდა.

რეფერენდუმის ჩაშლა შეიძლება მას აღარ დასჭირდეს, რადგანაც თუ ეს რეფერენდუმი ჩატარდა, ის კოკოითის მესამედ მოსვლის გარანტი აღარ იქნება.

უზენაესი სასამართლოს განაჩენამდე ერთი დღით ადრე ედუარდ კოკოითიმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ოსური მედიის ცნობით, კოკოითიმ გუშინ გააკეთა განცხადება, რომ ის მესამე ვადით კენჭისყრას აღარ აპირებს.

— მნიშვნელობა არა აქვს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლო რეფერენდუმთან დაკავშირებით. მნიშვნელობა არა აქვს, რა შედეგით დასრულდება ეს რეფერენდუმი. მე წინასწარ ვაცხადებ, რომ მესამე ვადით პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას არ ვაპირებ, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა.

საინტერესოა, რამ შეაცვლევინა მას ეს პოზიცია. ცოტა ხნის წინ ის ძალიან აქტიურად ემზადებოდა მესამედ მოსვლისთვის. ახლა კი მოულოდნელად გადაიფიქრა. საეჭვოა მას თავად მიეღო ასეთი გადაწყვეტილება.

რამდენიმე დღის წინ ის რეფერენდუმის მოწინააღმდეგე ოპოზიციას სერიოზულად აფრთხილებდა. მან პირობა დადო, რომ რესპუბლიკაში არეულობის შეტანის უფლებას არავის არ მისცემდა.

ცოტა ხნის წინ მან ოპოზიციონერებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა. დიალოგის მოწინააღმდეგეებს კი მკაცრი ზომების მიღებას დაჰპირდა.

— ზოგიერთი ოპოზიციური პარტია მიუღებელ განცხადებებს აკეთებს. მოვუწოდებ, რომ მათ თავიანთ განზრახვაზე ხელი აიღონ და დიალოგზე წამოვიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება მკაცრად იქნება აღკვეთილი, — განაცხადა 7 ივნისს პრეზიდენტმა.

ეს განცხადება მან ცხინვალში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შეხვედრისას გააკეთა. მან ოპოზიციას აქციების სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ ჩატარებაც დაუწუნა.

— ნებისმიერი პრობლემის განხილვა ცხინვალში უნდა ხდებოდეს და არა მის ფარგლებს გარეთ, რაც სამხრეთ ოსეთის დისკრედიტაციას უწყობს ხელს. მე მზად ვარ კონსტრუქციულ და პროგრესულ ოპოზიციას მეგობრობის ხელი გავუწოდო და ნებისმიერი პრობლემა მათთან ერთად მრგვალ მაგიდასთან განვიხილო, — აღნიშნა კოკოითიმ.

ამ შემთხვევაში კოკოითი აშკარად ჩვენი პრეზიდენტივით იქცევა. მასაც ხომ ასე ჰყავს ოპოზიცია დახარისხებული. კონსტრუქციულები პარლამენტში ჰყავს და მათთან თანამშრომლობს, დესტრუქციულებს რეზინის ტყვიებით უმასპინძლდება და კრემლთან თანამშრომლობას აბრალებს.

კრემლთან კოკოითის დესტრუქციული ოპოზიციაც თანამშრომლობს, ოღონდ ამ მიზეზის გამო მათ ვერ უსაყვედურებენ, რადგანაც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი თავის მთავრობასთან ერთად კრემლის მონაა.

რაც შეეხება დესტრუქციულ ოპოზიციას, ასეთად ჯაბეიჩს სახალხო ფრონტი მიაჩნია. ამ გაერთიანებას თედეევი უდგას სათავეში. რამდენიმე დღის წინ მან და მისმა „სასტავმა“ ვლადიკავკაზში 1500 კაციანი მიტინგი მოაწყვეს. ამ აქციაზე თედეევმა პირობა დადო, რომ რეფერენდუმს ჩაშლიდა.

აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ კოკოითისთან მოლაპარაკებებს არ გამართავენ.

— ჩვენ ტირანთან მოლაპარაკებას არ ვაპირებთ. კოკოითის პოლიტიკაში არაფერი ესაქმება, ის პოლიტიკიდან უნდა წავიდეს, — განაცხადა ახსარბეგ კოჩიევმა.

ის ადრე სამხრეთ ოსეთის გენერალური პროკურორი იყო, ახლა კი გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერია.

ისევე როგორც ჩვენთან, იმათთანაც ოპოზიციაში ყოფილი ჩინოვნიკები მიდიან. ოღონდ მათ, ჩვენგან განსხვავებით, კრემლთან თანამშრომლობას არავინ აყვედრის. აქ პირიქით, კრემლთან კარგი ურთიერთობა საამაყოდ ითვლება, ისევე, როგორც ჩვენთან ამერიკასთან კარგი ურთიერთობები.

კრემლთან მართლა კარგი ურთიერთობები აქვს ძამბოლატ თედეევს. ალბათ ამიტომ ამბობს ასე მტკიცედ, რომ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. არადა, კონსტიტუციით მას ამის უფლება არა აქვს.

სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის უფლება იმ პირებს აქვთ, რომლებიც ამ რესპუბლიკის მოქალაქეები არიან. ამის გარდა პრეზიდენტობის მსურველებს ბოლო ათი წელიწადი სამხრეთ ოსეთში უნდა ჰქონდეთ გატარებული.

თედეევი კი არც ერთ მათგანს არ აკმაყოფილებს. მართალია ცხინვალში დაიბადა, მაგრამ მას სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი არა აქვს. როგორც თავად ამბობს, მან ბევრჯერ მოითხოვა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა, მაგრამ კოკოითის ბრძანებით არ მისცეს.

მას არც ბოლო ათი წელი უცხოვრია ცხინვალში. ათი წლის წინ ის ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ წლების განმავლობაში მან ბევრ წარმატებას მიაღწია. დღეს ის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას კიდევ ბევრი წარმატების მიღწევა შეუძლია. მას რატომღაც პოლიტიკაში მოუნდა წასვლა. იმ ადგილის დაკავება მოინდომა, რომელზეც ახლა ზის მისი ყოფილი მეგობარი. ისე კოკოითი ამ პოსტზე რომ მოხვდა, ეს სწორედ თედეევის და ჩვენი დიმა სანაკოევის დამსახურებაა.

იმ დროისთვის მას რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა. წესით და რიგით მას პრეზიდენტ ჩიბიროვისთვის უნდა ეერთგულა, მან კი სხვანაირად გადაწყვიტა.

როგორც რუსულ მედიას ძამბოლატ თედეევმა უამბო, პრეზიდენტად კენჭისყრის მომენტში კოკოითი არ იყო სამხრეთ ოსეთის მოქალაქე. მოქალაქეობა მას იმჟამინდელმა პრემიერმა სანაკოევმა გაუხერხა.

თავად თედეევი მოქალაქეობის არქონას პრობლემად არ მიიჩნევს. მას სჯერა, რომ ამის გამო არჩევნებში მონაწილეობაზე პრობლემები არ შეექმნება. ისე, თუ კრემლმა „დაბრო“ მისცა, რატომ უნდა შეექმნას პრობლემა?!

და კიდევ ერთი, რა ეშველება კოკოითის? მესამე ვადით მას პრეზიდენტობა არ ეღირსება. არც ისაა გამორიცხული, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

ასეთ შემთხვევაში მისი გადარჩენა ისევ სანაკოევს შეუძლია. იმდენი უცნაურობის მომსწრე გავხდით, რომ არ გამიკვირდება, ხვალ კოკოითიც გვერდში დაიყენოს სააკაშვილმა. მერე მასაც წაიყვანს სადმე უცხოურ ვიზიტში და აჩვენებს მსოფლიოს, აი ყოფილი სეპარატისტი, რომელიც ახლა საქართველოს მხარეს არისო.

რატომაც არა, თუკი სანაკოევისთვის ეს შესაძლებელია, კოკოითის რატომ არ შეუძლია. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ სახელითა და გვარით განსხვავდებიან და სანამ დროა, კოკოითის ურჩევნია ჩვენს მხარეზე გადმოვიდეს. მოინანიოს, უი, ეს რა მიქნიაო და მოუნახავენ რამე სამსახურს.

მერე აქ კიდევ რაიმე ჰოლივუდური პრემიერა გაიმართება და შერონ სტოუნს ახლოდან ანახებენ, ისევე, როგორც დიმა სანაკოევმა იხილა. ეს ქალი ლამის სულ მოსკოვშია, მაგრამ ბოროტ პუტინს თავში არასდროს მოსვლია აზრად, კოკოითისთვის ის ახლოდან ეჩვენებინა.

# ქართველი ხალხი სააკაშვილმა ამერიკის წაქეზებით დაარბია

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ უზენაესი საბჭოს დეპუტატ თემურ ქორიძესთან

***— ბატონო თემურ, ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებს როგორ აფასებთ? ე.წ. სარევოლუციო გამოსვლებმა და ხელისუფლების პასუხმა თქვენი შეფასებით როგორი სიტუაცია შექმნა საქართველოში?***

— ბოლო დროს ხშირად ავლებენ პარალელს 1989 წლის 9 აპრილსა და 26 მაისს შორის. სავსებით რეალური პარალელია. ისეთი შედარებაა, რომელიც ნამდვილად არ მოიკოჭლებს. საქმე ისაა, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ეს იყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის. ცოტა შეიძლება უხეშად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ იმ მსხვერპლმა გამოიღო თავისი რეალური შედეგი. რომ არ ყოფილიყო 1989 წლის 9 აპრილი, არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილი. პრაქტიკულად, იმპერიაში მცხოვრები ქართველი ერი უკვე მაშინ გახდა თავისუფალი. ამ გათავისუფლებულმა ერმა ჩაატარა თავისუფალი არჩევნები და მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

***— ე.ი, ქართველ ერს შინაგანმა თავისუფლებამ უბიძგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.***

— რასაკვირველია. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს — მთელი ჩვენი უკანასკნელი ისტორიის ტრაგიკული გვირგვინი იყო 26 მაისი.

***— რატომ წავიდა ხელისუფლება 26 მაისის აქციის ასეთ სასტიკ დარბევაზე, იმიტომ, რომ რევოლუციის გზით მისი შეცვლის მოწოდებები ისმოდა თუ ეს სააკაშვილის რეჟიმის ხელწერაა?***

— ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილმა შური იძია 2007 წლის 7 ნოემბრისა და, განსაკუთრებით, 2009 წლის 3-თვიანი აქციების გამო. მან არაერთხელ განაცხადა, შეცდომა დავუშვი, რომ გადავდექიო. სააკაშვილს ძალიან დიდი შიში აქვს ხალხის რისხვისა. პრესაში ყველა პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი აღნიშნავდა, მიხეილ სააკაშვილი ვერავითარ შემთხვევაში მიტინგებს ველარ დაარბევსო, მაგრამ მოხდა საპირისპირო, ანუ მიხეილ სააკაშვილის ეს ნაბიჯი იყო შურისძიება ყველა იმ პროტესტის გამო, რომელიც მისი მმართველობის დროს საქართველოში გამოითქვა და გამოიხატა; 26 მაისს სააკაშვილმა ჩაატარა სადამსჯელო ოპერაცია, არა მხოლოდ ნინო ბურჯანაძისა და იქ მდგომი ხალხის წინააღმდეგ, არამედ ეს იყო მთლიანად ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ოპერაცია. ამით მან მთელ საქართველოს უთხრა, რომ ის არ დაუშვებს თავისუფალ, ნამდვილად დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. მას ამაში ძალიან დიდი დოზით დაეხმარა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, რომელმაც ჩაიდინა დიპლომატიისთვის უპრეცედენტო გამოხდომა. ასეთი რამ არ უკადრებია საბჭოთა პერიოდში საქართველოში იმპერიის მიერ დასმულ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, რომელიც აუცილებლად რუსი იყო. ის კრემლის ემისარი გახლდათ, მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს მიმართავდა.

***— ბოლო პერიოდში, მგონი, ნიკოლსკი იყო.***

— დიახ, რომელმაც შეიძლება ბიუროს სხდომაზე რაღაც თქვა, მაგრამ ქართველი ხალხისთვის, ქართველი საზოგადოებისთვის მას არასოდეს მიუმართავს. მას თავისი თავისთვის ამის უფლება არ მიუცია. აშშ-ის ელჩის გამოხდომა შემთხვევითი არ ყოფილა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა დიპლომატიის ისტორიაში, როდესაც ელჩი მიმართავს არა დიპლომატიური არხებით პროტოკოლურად, ან თუნდაც უპალსტუხოდ სახელისუფლებო წრეებს, არამედ მიმართავს ქართველ საზოგადოებას. ეს პირველად არ მომხდარა. შემდეგ ეს პიროვნება გამოდის და შეფასებას აძლევს იმ მოვლენას, რომელიც დატრიალდა 26 მაისს. ამით სააკაშვილმა და ბასის სახით შეერთებულმა შტატებმა გვითხრეს, თუ თქვენ შეგექმნათ ილუზია, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დამოუკიდებლები და თავისუფლები ხართ, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყეთ ფიქრიც კი ამაზე, ამოიგდეთ თავიდან ილუზია, რომ საქართველო ნამდვილად არის დამოუკიდებელი ქვეყანა. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაასათრგუნად, რასაც ალბათ შედეგად მოჰყვება ის, რომ ახლო მომავალში ჩვენ გაცილებით დიდი მსხვერპლშეწირვისთვის გვამზადებს შეერთებული შტატები. ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი.

***— ბატონო თემურ, რას გულისხმობთ მსხვერპლშეწირვაში?***

— მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიმართულებით რომ არის გაშვერილი თითი — ამას თურმე რუსები აკეთებენ. მერამდენედ? ნუთუ ასე დაჩაჩანაკდა რუსეთი, რომ ხან კოჭოიას გვიგზავნის ტერორისტად, ხან ვიღაც უჩინმაჩინს, რომელიც მაშინვე გააუვნებელყვეს ჩვენმა უშიშროების სამსახურებმა. თურმე ყველგან კისერი მოიტეხეს რუსებმა. თუ ასეთი დაუძლურებულია ეს რუსეთი, რატომ ვშიშობთ, თანაც თუ ბევრი ხალხი არ იყო, სულ რაღაც 200 კაცი იყო აქციაზე გამოსული? ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. თუკი რუსეთი ასეთი დაუძლურებულია, მაშინ რატომ ვერ ვიბრუნებთ ტერიტორიებს? თუ რუსეთი დაუძლურებულია, მაშინ როგორ მოხდა, რომ მთავარსარდალმაც და ჯარმაც სამარცხვინო ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში 2008 წელს? მოდით პირდაპირ ვთქვათ, რაც მოხდა. მახსენდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის მოგონებები. მას ემიგრაციაში გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ მწვავე და ტკივილიანი მოგონებები. სხვათა შორის, მისმა შვილმა ეს გაიმეორა ქართულად გამოცემულ თავის მოგონების წიგნში. ნოე რამიშვილი 1921 წლის მოვლენებზე წერს, ასეთი სამარცხვინო ჯარი საქართველოს თავისი ისტორიის განმავლობაში არ ჰყოლია. ამ ჯარმა 300 კაცზე მეტი ვერ გაიმეტა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. არა თუ ეს ჯარი, არამედ ჩვენც ისე სამარცხვინოდ ვიქცეოდით, რომ ერთი წვეთი სისხლიც კი ზედმეტი მოგვეჩვენა, საქართველოსთვის რომ გვებრძოლაო. დააკვირდით, 2008 წლის მთავარსარდალს და ჯარს, თუნდაც ნოე რამიშვილის ლოგიკიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ეწოდოს სამარცხვინო ჯარი და სამარცხვინო მთავარსარდალი? ტრიუმფებს და აღლუმებს ყოველთვის გამარჯვებული არმიები აწყობენ და არა დამარცხებული არმიები. დამარცხებული არმია ან შურს იძიებს, ან იარაღს ყრის და შინ ბრუნდება და სამარცხვინოდ ამთავრებს თავის არსებობას. ჩვენ დღეს გვყავს დამარცხებული არმია, რომელსაც ერთი პარტიზანიც კი არ გამოჩენია და გვყავს დამარცხებული მთავარსარდალი, რომელსაც ერთხელაც არ მოუწოდებია და ერთხელაც არ გადაუდგამს ის ნაბიჯი, რასაც ასეთ დროს მთავარსარდლები დგამენ. 300 სპარტელი დაიღუპა თერმოპოლისთან ბრძოლაში და დღემდე კაცობრიობას ახსოვს. დამარცხება იყო, მაგრამ ის 300 სპარტელი დამარცხებულად არ ჩაუთვლია. ისინი კაცობრიობის წინაშე წარდგნენ, როგორც მორალურად გამარჯვებულნი. მათთან ერთად დაეცა მეფე სპარტისა ლეონიდე. ხომ საოცარი რამაა?! ჩვენ კი რა გვყავს? დამარცხებული არმია და დამარცხებული მთავარსარდალი მარშით დადის რუსთაველის პროსპექტზე.



***— ბატონო თემურ, ხომ მოიგო ომი სააკაშვილმა კინოთეატრ „რუსთაველში“?***

— კინოთეატრ „რუსთაველთან“ გამართული ტაშფანდური დიდად სამარცხვინო რამ იყო. 300 სპარტელის ამბავი ძალიან შორეულ წარსულში იყო და კაცობრიობას მეხსიერებაში ის უკვე აღებეჭდა, ისევე როგორც ჰომეროსის ეპოპეა. ამიტომაც თვით ჰოლივუდმაც კი გადაიღო ბრწყინვალე ფილმი 300 სპარტელის შესახებ. ახლა მე ფილმი არ მინახავს. თუმცა, ვენდობი კომპეტენტურ კინომცოდნეებს. აქვე გეტყვით, რომ თეატრალურში 10 წელი ვუკითხავდი კინომცოდნეებს ლექციებს და ცოტა რამ გამეგება კინომატოგრაფიაში. როცა ვნახავ ამ ფილმს, შემიძლია სრულყოფილი ანალიზი წარმოგიდგინოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვეყრდნობი გიორგი გვახარიას და ნანა დევდარიანს, რომლებმაც ბრწყინვალედ იციან კულტურის ეს სფერო. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ წარმოუდგენელია მხატვრული, ზნეობრივი, ესთეტიკური, იდეური და, თუ გნებავთ, ძალადობრივი თვალსაზრისით უსუსური ფილმი შექმნილიყო. ამიტომ ეს არის შეურაცხყოფა, სილის გაწვნა ქართული კულტურისთვის, როდესაც შენი ეროვნული ტრაგედიის გამომზეურებას, შენი ეროვნული ტრაგედიის გაცნობიერების ესთეტიზაციას ოკეანის გაღმელ რეჟისორს ანდობ და არ ანდობ შენსავე უბრწყინვალეს კინემატოგრაფიულ სკოლას. ქეთევან დედოფლის წამების შესახებ ესპანელმა მწერალმა ქეთიუსმაც დაწერა პოემა, მაგრამ დაწერეს აგრეთვე მისმა შვილმა თეიმურაზმა და არაერთმა ქართველმა. ცრემლის გარეშე ვერ წაიკითხავ თეიმურაზის პოემას და ქართველების მიერ გააზრებულ ქეთევანის წამებას. გესმით, რამხელა განსხვავებაა ამ ორ ფენომენს შორის? როდესაც ჩამოჰყავთ საქართველოში თუნდაც ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომლებიც მართლაც ყველგან დადიან, ხომ ვიცით, რომ ჰოლივუდი ინდუსტრიაა და მოგებაზეა ორიენტირებული. ისლა დაგვრჩა საამაყოდ (მე სრულიად ვიზიარებ დათო მაღრაძის ამასწინანდელი გამოსვლის პათოსს), რომ საქართველოში ჩამოდიოდნენ არა მარტო სტაინბეკი და კნუტ ჰამსუნი, არამედ საქართველოში ჩამოდიოდნენ, აქ რჩებოდნენ და ქართულ ენას სწავლობდნენ, „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდნენ და პირდაპირ ქართული კულტურის საქმეს შეეწირნენ და-ძმა უორდროპები. არტურ ლაისტმა 100 ქართველის ოდენა გააკეთა ქართული კულტურისთვის, რომელმაც თავისი უკანასკნელი კაპიკები გაიღო დამოუკიდებელი საქართველოს ბიუჯეტში შესატანად. ჩვენ გვავიწყდება ეს ყველაფერი და იქით ვუხდით ბანკეტებს საეჭვო რეპუტაციის და საეჭვო მხატვრული ხარისხის ფილმში მონაწილეობისთვის ჰოლივუდის ანგარებიან მსახიობებს.

***— ითქვა, რომ ეს გაკეთდა პიარისთვის. ასეთი პიარი საქართველოს თუ წაადგება?***

— როდესაც ადამიანი ჩაიფიქრებ, რომ შენი ტრაგედია აქციო პიარად, ეს იმას ნიშნავს, ტრაგედია ფარსად გადააქციო. ეს არის უდიდესი შეურაცხყოფა დაღუპული ადამიანებისა, დაღვრილი სისხლისა და, საერთოდ, ქართველის ერისა. მე კარგად მახსოვს, როდესაც 80-იან წლებში იაპონელი კინემატოგრაფები ჩამოვიდნენ საქართველოში და უზარმაზარ თანხას დებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გადაღების უფლებაში. მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობდი და კარგად მახსოვს, როგორ შემართულად დადგა მთელი ქართველი საზოგადოება ამის გამო. იაპონელები მთელ ხარჯს თვითონ კისრულობდნენ, მაგრამ მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ, კულტურულმა ელიტამ კატეგორიული უარი უთხრა. თუმცა, ისინი ამის გადაღებას საქართველოსა და დედამიწის ნებისმიერ კუთხეში აპირებდნენ, რა თქმა უნდა, ქართველი მსახიობების მონაწილეობით.

***— რატომ არ დათანხმდნენ?***

— არ დათანხმდნენ იმიტომ, რომ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღოს არა თუ სხვა ქვეყნის, სხვა ერის, სხვა კულტურული ცნობიერების, სხვა მენტალობის ერმა (როგორი მაღალი დონისაც არ უნდა იყოს ხელოვანი), არამედ საერთოდ შეუძლებელია პოეზიის თარგმნა. არა თუ სხვა ერის ენაზე, არამედ ჩვენსავე ენაზე — ქართულსავე ენაზე — სხვაგვარად გამოთქმაა დიდი მკრეხელობა „ვეფხისტყაოსნისა“ და, საერთოდ, გენიალური ნაწარმოებებისა. იმდროინდელმა ინტელექტუალურმა ელიტამ კარგად გაიაზრა, რომ ამით ვერაფერს შევმატებდით „ვეფხისტყაოსანს“. პირიქით, მთელი მსოფლიოს თვალში ჩვენს შედევრს დავაკნინებდით და ისეთ იერსახეს მივცემდით, რომელიც იქნებოდა შეურაცხყოფა დიდი გენიისა.

***— თუ სააკაშვილმა შური იძია იმ აქციების გამო, რომელიც 2009 წელს მიმდინარეობდა. აქციების დაურბევლობის გამო სააკაშვილი თავს ხშირად იქებდა — ისეთი დემოკრატი ვარ, რომ ჩემთან 3 თვის განმავლობაში აქციები მიმდინარეობდა, ქვეყნის მთავარი პროსპექტი და სახელმწიფო შენობები პარალიზებული გახლდათ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს აიტანაო.***

— სააკაშვილმა ისიც თქვა, გველის ნაკბენივით ახსოვდა ის და თქვა, ძალიან შევცდი, 2007 წელს რომ გადავდექიო.

***— ახლა აღარ სჭირდებოდა დემოკრატის ნიღაბი?***

— ახლა მას შეექმნა ხელსაყრელი შესაძლებლობა შეერებული შტატების მხრიდან. რაც 26 მაისს მოხდა, ქართველებისთვის იყო მიუნხენზე უარესი რამ, როდესაც 1939 წელს ჩემბერლენმა ჰიტლერთან გარიგების შედეგად გაწირა ჩეხოსლოვაკია. საქართველოსთვის 26 მაისი იყო მიუნხენი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. მან წააქეზა სააკაშვილი ისევე, როგორც ჩემბერლენმა წააქეზა ჰიტლერი და გაწირეს ჩეხოსლოვაკია. ასე წააქეზეს სააკაშვილი ბასმა და ამერიკული პოლიტიკის ქორებმა იმიტომ, რომ ახლა აშშ-ში არჩევნები მოდის და, კაცმა არ იცის, ამ იმპერიალისტების თავში რა ცეცხლი დუღს. რასაკვირველია, მათ სჭირდებათ რაღაც ახალი საზარელი კერა და უფრო მორჩილს, ვიდრე სააკაშვილია, ისინი დედამიწაზე ვერსად პოულობენ.

# გავა თუ არა „რვიანი“ ქუჩაში

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ჩატარება, რომ პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობა არჩევნების შემდეგ ამბობდეს, რომ რაც მეკუთვნოდა, ის მივიღე. თუ არ მივიღე, ეს იმიტომ არ მოხდა, რომ არჩევნებში ვიღაც ჩაერია, ჩაერია პოლიციელი თუ სხვა და მე ხმა წამართვა და ვიღაცას დაუმატა, არა, არჩევნების შედეგად მე წავაგე. არაფერი სამარცხივნო არ არის იმაში, რომ მაგალითად ალასანიამ არჩევნების შემდეგ მიულოცა თუ ხელი ჩამოართვა გამარჯვებულ კანდიდატს. შეიძლება იყოს ფაქტები, სადაც უკმაყოფილო ხარ, მაგრამ ჩვენ პოზიტივისკენ უნდა მივდიოდეთ. ხელისუფლების მუდმივი სიძულვილის რეჟიმში ცხოვრება საზოგადოებისთვის ნიჰილიზმის და აგრესიის გამომწვევია ყველა პოლიტიკოსის მიმართ. დღეს ამბობ უარს, მერე გიწევს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა, ამ დროს საზოგადოებას ველარ გაურკვევია, რა გინდა. ამიტომ პოლიტიკური სტაბილურობის გზა არის მხოლოდ მოლაპარაკების გზა.

***— თუ არ მოდის ხელისუფლება მოლაპარაკებაზე?***

— ამ შემთხვევაში რა ვითარებას ვიღებთ აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ შემთხვევაში ჩვენ ბოლო შანს ვაძლევთ ხელისუფლებას, რომ მშვიდობიანი, არარადიკალური მეთოდებით ქვეყანაში წინსვლა მოვახდინოთ.

***— როდის არის ბოლო შანსი ანუ რა ეტაპი?***

— ამას ხელისუფლება განსაზღვრავს. პარლამენტში ხელისუფლებას უმრავლესობა ჰყავს, თუ უნდა, ორ დღეში მიიღებს ამ კანონებს, თუ უნდა — სამ დღეში. მაისი, ივნისი, შემოდგომა — ეს ჩვენი თარიღები არ არის, ეს მათი თარიღებია. ჩვენ, „ქრისტიან-დემოკრატებს“, კიდევ რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას რამდენიმე წარმომადგენელი გვყავს, ჩვენ არ გვაქვს უმრავლესობა, რომ ჩვენ მივიღოთ ეს კანონპროექტი, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს. ხელისუფლება ამას იმიტომ აკეთებს, რომ სხვანაირად წარმოუდგენელია დემოკრატიული ქვეყანა გერქვას, ხმების 55 პროცენტს იღებდე და პარლამენტში 90 პროცენტი გყავდეს დეპუტატების. ე.ი. სისტემა სადღაც არ მუშაობს. როგორ შევცვალოთ სისტემა, რომ ეს სისტემა ისე ამუშავდეს, რომ ამომრჩევლის ხმა პარლამენტამდე მივიდეს. როგორც ამომრჩეველმა, გაანაწილა ადგილები, ისე დაფიქისრდეს პარლამენტში, სხვას ხომ არაფერს ითხოვს ოპოზიცია. ნურავინ წარმოიდგენს ისე, რომ თუ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსს შეცვლის, აუცილებლად წავა. მეც და მთელ ოპოზიციასაც გვირჩევნია, ასე იყოს, მაგრამ რა თქმა უნდა, ამაში არ არის 100-პროცენტიანი გარანტია. შეიძლება მათ ისევ მოიგონ არჩევნები, მაგრამ ეს იქნება რეალური მოგება სამართლიანი არჩევნების გზით, სადაც ეჭვი აღარავის გაუჩნდება და აღარავინ არ იტყვის, რომ ეს არალეგიტიმურია.

***— თუ არაფერი არ შეიცვალა და რეალურად პროცესი არ დაიძრა, გამოდის, 2012 წელს საპარლამენტო არჩევნები არსებული კოდექსით ჩატარდება?***

— არჩევნების ჩატარება არსებული საარჩევნო სისტემითაც შესაძლებელი იქნებოდა თუ ხელისუფლების ნება იქნებოდა. ჩვენ როდესაც ცვლილებებზე ვსაუბრობთ, ამით ვცდილობთ მინიმუმამდე დავიდეს საშუალება, რომ ხელისუფლებამ გამოიყენოს სისტემა იმისთვის, რომ არჩევნები მოიგოს. ბიომეტრიული პასპორტები არ არის შვეიცარიაში, არც ბელგიაში და ჰოლანდიაში, მაგრამ არჩევნები ხომ ტარდება და არავინ ამბობს, რომ გაყალბდა. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, რადგან უკვე ვერავინ აკონტროლებს, ვფიქრობ, ვერც ხელისუფლება, რა ხდება ზოგ რეგიონში. რამდენი ხმა იწერება და რა ხდება. არის საკითხები, რომელიც დიდ ეჭვს იწვევს. ხელისუფლებამ თუ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ არაფერი არ შეცვალა, მაშინ მივალთ 2012 წლამდე არჩევნებამდე და ადამიანებს გაუჩნდებათ იმის საბოლოო შეგრძნება, რომ არაფერი არ გამოდის არჩევნების გზით. მაშინ, უკვე გარწმუნებთ, ათასი კაცი აღარ შეიკრიბება, არც ათი ათსი. ჩვენ მივალთ ისევ 2007 წლის პიკზე. 2008 წელს პარლამენტში იმიტომ შევედით, რომ იმედი გვქონდა ხელისუფლება მოლაპარაკებების გზით წავიდოდა.

***— რომ ხელისუფლება დათმობებზე დაგეყოლიებინათ?***

— რა თქმა უნდა. თუმცა, ხელისუფლება ამბობდა, რომ თქვენ რადიკალები ხართ, არაფერზე არ მოდიხართ. სულ ჩამოგდებაზე საუბრობთ. თანამშრომლობის თემა მათ სპეკულირების თემად ჰქონდათ, რომ როგორც ოპოზიცია, კონსტრუქციულები არ ხართ. ამიტომ გაჩნდა კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც სასაცილო თუ საქილიკო გახდა ვიღაცისთვის, მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი გზა, რომელიც ავირჩიეთ, შემდეგ ბევრი შემოუერთდა ამ გზას. ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება თვლიდა, რომ მოლაპარაკებებს აზრი აქვს. იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლებას ვაძლევდით დროს, არა, ეს არის დრო ქვეყნისთვის. როდესაც ტუნისს, ეგვიპტესს, არაბულ სამყაროს ვადარებთ მოვლენებს, ის სულ სხვა ცივილიზაციაა, განვითარების სხვა ეტაპზეა. იმის თქმა, რომ რადგან იქ მოხდა რევოლუცია, ჩვენთანაც უნდა მოხდეს, აბსურდია, რადგან ის სხვა ცივილიზაციაა. მხოლოდ და მხოლოდ ეტაპობრივი განვითარება აძლევს ქვეყანას შანსს, რომ მომავალში წარმატებული და განვითარებული იყოს. ეს არის მთავარი პრიორიტეტი, როდესაც ვამბობთ, რომ მოლაპარაკებებზე ბოლომდე მივდივართ. მშვიდობიანი აქციები, მანიფესტაცია კი იქნება ის მოვლენა, რომელმაც უნდა დაანახოს ხელისუფლებას, რამდენი ადამიანი უჭერს მხარს პროცესების განვითარების ამ გზას. ჩვენ ვეძებთ კანონიერ გზებს, როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენი საზოგადოება წინ წავიდეს.

# საწვავზე ფასის დაკლება საქართველოზე არ არის დამოკიდებული

შორენა გონგლაძე

დროა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში იაფი ფასების ხანა დამთავრდა. თუ გვინდა რეალობასთან ახლოს ვიყოთ, უკვე ამა თუ იმ პროდუქტის ფასზე კი არა, ხარისხზე უნდა ვიფიქროთ. თუმცა საქართველოში ხომ ყველაფერი პირიქით ხდება. რატომღაც ყოველთვის გვაღიზიანებს საწვავზე ხუთი თეთრით ფასის მატება, სამაგიეროდ, ნაკლებად ან საერთოდ არ ვფიქრობთ კვების პროდუქტებზე, ან თუნდაც მედიკამენტებზე. არ მითხრათ ახლა, რომ საწვავის ფასი პირდაპირ კავშირშია საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტების მართლა ხელოვნურად გაზრდილ ფასებზე.

არც პირდაპირი და არც ირიბი კავშირი ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ბიზნესებს შორის არ არსებობს. საწვავზე ფასების ზრდა ვერანაირად ვერ იმოქმედებს ბებიაჩემის ბოსტანში მოყვანილ მწვანილზე ან მარწყვზე, ეს უბრალოდ აბსურდია, სამაგიეროდ, თითოეული ჩვენთაგანის ჯანმრთელობაზე ნამდვილად მოქმედებს მედიკამენტებზე არსებული სპეკულაციური ფასები (ამ სექტორს ხომ პატრონი დღემდე რატომღაც ვერ გამოუჩნდა). არ გაქვთ ბენზინის ფული? ეს არ არის დიდი პრობლემა, იმგზავრეთ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით, რომელიც საკმაოდ სწრაფი და შეუფერხებლად გადაადგილების შესაძლებლობას იძლევა, ან თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ეს ეკოლოგიასაც არგებს და თქვენს ჯიბესაც, მაგრამ მაინც, რა ხდება ნავთობპროდუქტების სფეროში? ბოლო პერიოდში ხუთი თეთრით, მაგრამ მაინც გაიაფებულ საწვავს ხომ არ ემუქრება ისევ გაძვირების საფრთხე, მით უმეტეს, რომ წინ ზაფხული, შვებულებების სეზონი გველოდება, რა დროსაც ტრადიციულად საწვავის მოხმარების გაზრდასთან ერთად ფასიც იმატებს. ამ და სხვა საინტერესო თემებზე ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი საუბრობს.

— ბატონო ვანო, რა ხდება დღეს მსოფლიო სანავთობე ბაზარზე, საზაფხულოდ რაიმე სიურპრიზი ხომ არ გველოდება არსებული ფასები შენარჩუნდება?

— წლის დასაწყისისთვის ლონდონის სანავთობო ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასი შეადგენდა ოთხმოცდათხუთმეტ დოლარს, შემდგომ იწყება ნავთობის ფასების მატება და პიკს მიაღწია აპრილის თვის ბოლოს, როდესაც ბარელი ნავთობის ფასი იყო 125 დოლარიან ნიშნულზე. ფასების მატება პირდაპირ უკავშირდება ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებულ ცნობილ მოვლენებს. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო ნავთობზე ფასების მატებას. წლის დასაწყისისთვის როდესაც კეთდებოდა პროგნოზი თუ რამდენი უნდა



ყოფილიყო ნავთობის ფასი, საუბარი იყო, რომ ბარელი ნავთობი უნდა ყოფილიყო 100 დოლარის ფარგლებში, თუმცა ფასების შემდგომი მატება განპირობებული იყო სწორედ იმ პროცესებით, რომელიც ლიბიასა და ახლო აღმოსავლეთში მოხდა. მაისის თვის პირველი რიცხვებიდან მოხდა ფასების კლება და ბარელი ნავთობი დღეისათვის არის 119 დოლარიან ნიშნულზე. რაც შეეხება ზაფხულის პერიოდს, ტრადიციულად ზაფხულში იზრდება მოხმარება, იწყება შვებულებების სეზონი და, შესაბამისად, მატულობს მოთხოვნილება, რაც თავისთავად იწვევს ნავთობზე ფასის მატებას. თუ როგორ განვითარდება შემდგომში მოვლენები, ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია. რამდენიმე დღის წინ იყო ოპეკის ქვეყნების შეხვედრა, სადაც მთავარ საკითხად წარმოდგენილი იყო ნავთობის მოპოვების კვოტებთან დაკავშირებული საკითხი. არიან ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მოპოვების გაზრდას, თუმცა საბოლოო ჯამში ოპეკმა მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეზარდა მოპოვების კვოტები.

— ეს გადაწყვეტილება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ფასების კლების პროცესი ხელოვნურად შეჩერდა?

— რა თქმა უნდა. ოპეკის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ შენარჩუნდეს ნავთობის მაღალნიშნულიანი ზღვარი, ვინადან, რაც უფრო მაღალია ნავთობის ფასი, ოპეკის ქვეყნების შემოსავლები მით უფრო დიდია. ნავთობზე მაღალი ფასები მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას ხელს ვერანაირად ვერ უწყობს, მაღალი ფასები არის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი, რომელიც დღეისათვის საკმაოდ მტკივნეულად აწვება მსოფლიო ეკონომიკას. როდესაც მსოფლიოში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, ამის ერთ-ერთი ინდიკატორი იყო მსოფლიოში ნავთობზე მაღალი ფასები. იმ პერიოდში ბარელი ნავთობის ფასი იყო 140-145 დოლარი. მაღალი ფასებით საკმაოდ არის შეშფოთებული ევროპის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, ვინაიდან შესაძლოა მსოფლიომ მიიღოს ხელახალი ეკონომიკური კრიზისი. ყველა მომხმარებელ ქვეყანაში საწვავზე არის მაღალი ფასები, რაც იწვევს სოციალურ უკმაყოფილებას, ვინაიდან როდესაც საწვავზე მატულობს ფასი, ეს თავისთავად იწვევს სხვადასხვა პროდუქციებზე ფასების მატებას. ისეთი ტიპის ქვეყნებისათვის, როგორიც არის საქართველო, რომელიც მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, ამ პროცესებს ვერანაირად გვერდს ვერ აუქცევს. მაგალითად, რუსეთში საკმაოდ საინტერესო მოვლენები განვითარდა, ერთი თვის წინ იყო საწვავის სერიოზული კრიზისი. რუსეთი, როგორც ვთქვით, არის ყველაზე დიდი მომპოვებელი ქვეყანა, აქვს თავისი გადამამუშავებელი წარმოება. სახელმწიფომ დააწესა ფასების ზღვარი, რომლის ზემოთაც გასამართ სადგურებს არ შეეძლოთ ფასის აწევა. ვინაიდან ამ დროს ფასები იზრდებოდა სხვა ქვეყნებში, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის უფრო მომგებიანი იყო საწვავის ექსპორტზე გატანა, ვიდრე შიდა ბაზარზე მიწოდება. ამიტომ, რუსეთმა მიიღო ის, რომ შეიქმნა ნაწვავის სერიოზული დეფიციტი, მათ შორის ცხინვალის რეგიონშიც, ვინაიდან ის მთლიანად რუსეთზე არის დამოკიდებული. შემდეგ სახელმწიფომ მისცა კომპანიებს უფლება, რომ საწვავზე გაეზარდათ ფასები, გარდა ამისა, გაზარდა ექსპორტზე გადასახადი. ჩვენთან, მაგალითად, 2008 წლის ომის პერიოდშიც კი არ ყოფილა საწვავის დეფიციტი და უფრო მეტიც, საწვავზე ფასებიც კი არ აწეულა, პირიქით, დაიწია. როგორც აგვიხსნეს, წლის დასაწყისიდან 95 დოლარიდან 125 დოლარამდე გაიზარდა ნავთობის ფასი. მაისის თვის დასაწყისიდან კი ნავთობის ფასმა კლება დაიწყო და დღეისათვის ლონდონის ბირჟაზე ნავთობის ფასი შეადგენს 119 დოლარს ბარელზე. საქართველოს საცალო ბაზარზე საწვავის ფასის კლება დაფიქსირდა მაისის 25 რიცხვში და ფასმა 5 თეთრით დაიკლო. საქართველოს საცალო ბაზარი მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო ფასებზე და ის ყოველთვის ადეკვატურად რეაგირებს შესაბამის ტენდენციებზე. შესაძლოა დაისვას კითხვა, რატომ უნდა დააკლოს კომპანიამ ფასი, როცა საწვავი უპრობლემოდ იყიდება? თუ ჩვენ ავიღებთ გასული ხუთი თვის სატატისტიკას, ვნახავთ, რომ იმპორტი და რეალიზაციაც არის შემცირებული იმის ხარჯზე, რომ მაღალი ფასების პირობებში იკლებს მსყიდველუნარიანობა. ბევრი სატრანსპორტო ერთეული გადადის ბუნებრივი აირის მოხმარებაზე, ვინაიდან მისი დანახარჯი მნიშვნელოვნად მცირეა. ამიტომ მაღალი ფასების არსებობა კომპანიების ინტერესში არ შედის.

— საავტომობილო ზეთებთან დაკავშირებით რა ხდება, როგორც ცნობილი გახდა, ქართულ ბაზარზე კიდევ ერთი ახალი კომპანია შემოდის...

— მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ბაზარზე შემოდიან მსოფლიოს ცნობილი ბრენდები, ინერგება მომსახურების თანამედროვე სერვისები და ა. შ. საავტომობილო ზეთებთან დაკავშირებით არის ძალიან ცუდი მდგომარეობა. ბაზარი არის დაუცველი და ვინც ზეთის ფალსიფიკაციით არის დაკავებული, ის არღვევს როგორც კეთილსინდისიერი მეწარმის, ასევე მომხმარებლის უფლებებს. როდესაც მომხმარებელი მიდის ზეთის საყიდლად და ჰგონია, რომ ყიდულობს ძვირადღირებულ სინთეტიკურ ზეთს, ხშირ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს ნახევრად სინთეტიკური ან თუნდაც მინერალური ზეთი. ეს ხდება ძირითადად ე.წ. ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხდება საავტომობილო ზეთების შეცვლა. ამ მხრივ ვითარება არის საკმაოდ სავალალო, ამას აღიარებენ იმ კომპანიების და ბრენდების ხელმძღვანელობა, რომლებიც წარმოდგენილი არიან საქართველოში, როგორებიც არიან „არალი“, „კასტროლი“, „მობილი“, „ვისოლი“ და სხვა. ფალსიფიკატორების შემოსავლები არის საკმაოდ დიდი. რაც შეეხება „ტოტალს“, ეს არის მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ნავთობკომპანია, მისი წარმოდგენა საქართველოში იმის მაჩვენებელია, რომ საცხებ-საპოხი მასალების მიმართულებით საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი იქნება საკმაოდ მაღალხარისხიანი ზეთი და მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვისოლი საკუთარ გასამართ სადგურებზე ახორციელებს ამ ზეთების რეალიზაციას და ეს არის მომხმარებლისთვის იმის გარანტი, რომ მან მიიღოს მაღალხარისხიანი პროდუქტი.

# კალანდაძე რუსეთში წასვლას არ გვირჩევს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ოფიციალური პრესკონფერენცია ჩატარდა.**

მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ საქართევლოს მოქალაქეებს რუსეთში გამგზავრებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ გაკეთებული განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიცალური განცხადება არ არის. როგორც მოგვიანებით ნინო კალანდაძემ განმარტა, ეს არის ქვეყნის მოქალაქეების მიმართ რჩევა.



რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, საქართველოს მოქალაქეზე თავდასხმის და მკვლელობის ფაქტი გახდა სწორედ მიზეზი, რომ აღნიშნული განცხადება გაეკეთებინა ნინო კალანდაძეს.

5 ივნისს მოსკოვში საქართველოს მოქალაქე გელა ბლიაძე გახდა ეთნიკური ნიშნით თავდასხმის მსხვერპლი.

— დასამალი ფაქტი არ არის, რომ ქსენოფობიური პოლიტიკა ძალიან მყარი ხელით იმართება რუსეთში. შესაბამისად ამ ტიპის განცხადებაც სწორედ იმას ეფუძნება, რომ ჩვენ, როგორც ოფიციალური უწყება, თავს ვალდებულად ვგრძნობთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოვუწოდოთ. რასაკვირველია, რომ ვერავის ვერ ვაიძულებთ, რაიმე განსაკუთრებული ზომები დამოუკიდებლად მიიღონ. თუმცა, ჩვენი მხრიდან თავს ვალდებულად ვგრძნობთ, რომ შესაბამისი ინფორმაცია ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდოთ. — განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინსტროში მიმდინარე კვირის ვიზიტებზე გაკეთდა განცხადება.

კალანდაძის ინფორმაციით საქართველოში მნიშვნელოვანი ვიზიტები განხორიცელდება.

საქართველოში შვედეთის და აზეირბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტები განხორიცელდება.

მინისტრები უმაღლესი დონის შეხვედრებს გამართავენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ სიას ეხება.

აღნიშნული სიით რუსეთი პრაქტიკულად თავად აღიარებს თავის დამარცხებას მის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე.

აღნიშნულ სიაში არის მოხვედრილი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, სადაც ურთულესი მდგომარეობაა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ოკუპანტი ქვეყანა თავად არის პასუხისმგებელი ოკუპირებულ ზონებში განვითარებულ მოვლენებზე.

— ძნელად ამოსაცნობია, რეალურად რა მოტივაცია დგას რუსეთის ფედერაციის ამ განცხადების მიღმა. თუმცა, თავისთავად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომ მართლაც მძიმე ვითარებაა, ალბათ სიმართლეს შეესაბამება და ეს ინფორმაცია ყველაზე ზუსტ ინფორმაციას სწორედ რუსეთის ფედერაცია ფლობს. ვინაიდან სწორედ რუსეთი არის, ვინც კონტროლს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ მიერ არის ეს ტერიტორიები ოკუპირებული და შესაბამისად ყველა სახის საფრთხე თუ დაძაბული ვითარება, ეკონომიკური, სოციალური თუ მძიმე პოლიტიკური ფონი არის სწორედ რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის ქვეშ. — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

## მაღაზიებში თამბაქოს ღიად გამოჩენა 2012 წლიდან აიკრძალება

თამბაქოს ნაწარმის მაღაზიებში ღია დახლზე დადება ინგლისში 2012 წლის აპრილიდან აიკრძალება. მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, აკრძალვა მწეველთა რაოდენობის 21 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირებას ემსახურება.

იგივე შეზღუდვა გავრცელდება შოტლანდიაზე. ჩრდილოეთ ირლანდიასა და ახალ ზელანდიაში ეს საკითხი აქტიური განხილვის პროცესშია. აღნიშნული აკრძალვა აიძულებს თამბაქოს კომპანიებს, სიგარეტები მხოლოდ უბრალო და სასაქონლო ნიშნის (ბრენდის არ ქონის) გარეშე გაყიდონ. მთავრობა ასევე განიხილავს თამბაქოს რეკლამების მაღაზიებში აკრძალვის საკითხსაც.

მედიანიუსი

## ინკლუზიური სწავლების წარმატებული მასწავლებლები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ ინკლუზიური სწავლების ათი წარმატებული და გამორჩეული პედაგოგი დააჯილდოვა.

როგორც „მედიანიუსს“ განათლების სამინისტროში განუცხადეს, დაჯილდოვებული პედაგოგები წლების განმვალობაში ეფექტურად მუშაობდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, გამოირჩევიან ადეკვატური დამოკიდებულებით მათ მიმართ, კარგად ფლობენ ინდივიდუალაური სასწავლო გეგმით მუშაობის ტექნიკას, წარმატებულად თანამშორმლობენ მშობლებთან და მაქსიმალურად უწყობენ ხელს მოსწავლეების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

მასწვლებელთა შერჩევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შექმნილი კრიტერიუმების მიხედვით მოხდა, რომელზე

დაყრდნობითაც 2 თვის გამავლობაში ხდებოდა მასწავლებების იდენტიფიცირება სკოლებში.

პედაგოგებს საჩუქრად 500, 400 და 300 ლარიანი ელექტოსაქონლის სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს მასშტაბით ასზე მეტ სკოლაში მიმდინარეობს.

სამინისტრო ხელს უწყობს სკოლებს მოახდინონ, გარემოს ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ასევე სკოლაში პედაგოგების რესურსის გაძლიერებაა, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი განათლების მიწოდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ინკლუზიური განათლების საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად 100.000 ლარზე მეტს ხარჯავს.

მედიანიუსი

## ირანში შიმშილობის შედეგად ცნობილი ჟურნალისტი გარდაიცვალა

ირანში შიმშილობის შედეგად ცნობილი ჟურნალისტი და უფლებამდაცველი რეზა საბერი დაიღუპა. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება.

საბერი ორი წლის წინ ანტისახელისუფლებო აქციებში მონაწილეობისათვის დააკავეს. 50 წლის ჟურნალისტი მაჰუმდ აჰმადინეჯადის რეჟიმის ციხეშიც აპროტესტებდა - უკანასკნელი დღეების განმავლობაში იგი შიმშილობდა. ერთ-ერთ ვერსიით ჟურნალისტს გულის შეტევაც დაემართა.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები და დემოკრატიული ინტიტუტები საბერს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევდნენ და მის გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

მედიანიუსი

# ლევან წულაძე 14 ათასი ლარით დაჯილდოვდა

ეკა ირემაშვილი

**ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში რიგით მესამე ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემიის, „დურუჯის“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. პრემია, რომელიც წელიწადში ერთხელ გაიცემა, კომპეტენტურმა ჟიურიმ ოთხ ნომინაციაში გადაანაწილა.**

წელს ჟიურის რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანუკა ხუსკივაძე ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად საუკეთესოები შეარჩიეს დრამატურგმა ბასა ჯანიკაშვილმა და თეატრმცოდნეებმა მაკა ვასაძემ, ნიკა წულუკიძემ და მიშა კალანდარიშვილმა. თეატრალური პრემია „დურუჯი“ საქველმოქმედო ფონდ „ცისკარის“ ორგანიზებით ჩატარდა. საღამო ყოფილმა ჯეოსტარელებმა ქართული კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან ამოკრებილი საუკეთესო მუსიკალური ნომრებით გააფორმეს.

პრემიის მოსაპოვებლად წელს სურვილი 36-მა კანდიდატმა გამოთქვა — თეატრალური პრემიის მოსაპოვებლად ორგანიზატორებმა 24 თეატრის 36 განაცხადი მიიღეს, მათგან 12 განაცხადი თბილისის თეატრებიდან, ხოლო 12 — რეგიონების თეატრებიდან. 21 წარმოდგენა გაიმართა თბილისში, 14 სპექტაკლის სანახავად კი ჟიურის წევრებმა რეგიონებში იმოგზაურეს. მათი ვინაობა კონფიდენციალური იყო და მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალზე გახდა ცნობილი. რჩეულები ჟიურის წევრებმა ფარული კენჭისყრით შეარჩიეს.

ყვარელში დაგეგმილ დასკვნით ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთაველის თეატრში დასახელდა ნომინანტთა ის „მოკლე ნუსხა“, რომლებსაც თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებისთვის შანსი ჰქონდათ. წელს „დურუჯი“ გაიცა შემდეგ ნომიანციებში — საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი, საუკეთესო მსახიობი ქალი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, საუკეთესო ქართული



თანამედროვე პიესის ავტორი და კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული 10 ათასლარიანი ფულადი ჯილდო ახალგაზრდა რეჟისორისათვის. საუკეთესოდ დასახელებისა და ნომინაციაში გამარჯვების გარდა, ყველა კანდიდატმა ფულადი ჯილდო მიიღო.

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარისთვის დაჯილდოვდა ლევან წულაძე სპექტაკლისთვის „ჟოლო“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში კოკი მიტანის მიხედვით დაიდგა. რეჟისორმა საჩუქრად 14.000 ლარიც მიიღო. ლევან წულაძემ ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემია უკვე მეორედ მოიპოვა — პირველი „დურუჯის“ სოლიდური ფულადი ჯილდო ორი წლის წინაც ლევან წულაძეს მიენიჭა. გასულ წელს კი ამ პრემიის მფლობელი გახდა დავით დოიაშვილი.

ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი ქალი გაიმარჯვა ქეთი ცხაკაიამ უილიამ შექსპირის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ჩემი ჰამლეტი“ მთავარი როლის შესრულებისთვის, რომელიც მარჯანიშვილის თეატრისა და თითების თეატრის ერთობლივი ნამუშევარია. სპექტაკლის რეჟისორი კი ბესო კუპრეიშვილია. ქეთი ცხაკაიას ფულადი პრიზი 2.000 ლარი გადაეცა. ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია რევაზ თავართქილაძე ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „სულის სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ“. სპექტაკლის რეჟისორი გიორგი სავანელია, რომელიც ილიას უნივერსიტეტის თეატრში, ყოფილი ვაკის სარდაფში თამაშდება. ამ ნომიანციაში გამარჯვებულსაც 2.000 ლარიანი ფულადი ჯილდო გადაეცა. სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი გახდა ლაშა ბულაძე და მისი „ნაფტალინი“, რომელიც ახალციხის სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორმა ირაკლი გოგიამ განახორციელა. ამ ნომინაციაში გამარჯვებულსაც პრემიის სახით 2.000 ლარი გადაეცა.

რაც შეეხება საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციას, ჟიურის რჩეული გახდა ნიკოლოზ საბაშვილის „ქაღალდის წვიმა“, რომელიც თეატრალურ პრემიაზე „ახალმა თეატრმა“ წარადგინა. ლაურეატმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი, 10.000 ლარი მიიღო. მიღებული თანხა კი ახალგაზრდა რეჟისორმა მომავალ თეატრალურ სეზონში სპექტაკლის დადგმას უნდა მოახმაროს.

— წელს პრემია უკვე მესამედ გავეცით. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი კომპეტენტური ჟიური ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებდა და გამარჯვებაც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ხვდებოდა წილად. „დურუჯის“ ლაურეატის წოდება ნამდვილად ღირსეულმა კანდიდატმა მოიპოვა — განაცხადა „დურუჯისა“ და საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ დამფუძნებელმა ბატონმა ლაშა პაპაშვილმა.

# ენათმეცნიერების ინსტიტუტი 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი

14 ივნისს არნოლდ ჩიქობვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით ინსტიტუტში დაგეგმილია სამეცნიერო სესიის ჩატარება, რომელიც 17 ივნისამდე გაგრძელდება. სხდომათა დარბაზში ინსტიტუტის იუბილესადმი მიძღვნილი საგანგებო ღონისძიება გაიმართება, სადაც სიტყვით გამოვლენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლალი ეზუგბაია, პარლამენტარი ნუგზარ წიკლაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ცნობილი მუსიკოსი და ენათმეცნიერი ნოდარ ანდღულაძე და სხვა ცნობილი მოღვაწეები.

საიუბილეო საღამოზე მიწვეულნი არიან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე უნივერსიტეტების, მეცნიერებათა აკადემიისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები.

როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლალი ეზუგბაია აღნიშნავს:

— სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ენათმეცნიერების ინსტუტუტი ერთადერთია, რომელიც ინარჩუნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს და დამოუკიდებლად ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით. ენათმეცნიერების ინსტიტუტი დაარსების დღიდან ემსახურება ორ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საქმეს — ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა და სტანდარტიზაციას; ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თეორიის კვლევასა და ახალი ლინგვისტური მოძღვრების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, განვითარებასა და პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო წრეში.

ღონისძიებაზე 10 დამსახურებულ და მხცოვან ენათმეცნიერს ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაწეული მოღვაწეობისათვის საიუბილეო მედლები გადაეცემა. იუბილეს ფარგლებში ინსტიტუტის მიერ 70 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნებისა და კრებულების გამოფენაც გაიმართება.

# სესილია თაყაიშვილის იუბილე ბათუმშიც აღინიშნა

ეკა ირემაშვილი

**ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავის სესილია თაყაიშვილის 105 წლის იუბილე თბილისის შემდეგ მის მშობლიურ ქალაქ ბათუმშიც აღინიშნა. ახლადგახსნილ ბათუმის იუსტიციის სახლში სესილია თაყაიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.**

ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნეს.

— გვინდა ბათუმის იუსტიციის სახლმა შეიძინოს კულტურული დატვირთვა, ჩვენი სურვილია ასეთი ღონისძიებები ხშირად გაიმართოს, — აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

ეროვნულ არქივში დაცულია სესილია თაყაიშვილის მონაწილეობით გადაღებული 30-მდე მხატვრული ფილმის გადასაღები მოედნის კადრები — „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“, „მანანა“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ნატვრის ხე“, „თოჯინები იცინიან“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“.

— ბათუმის საზოგადოებას ვთავაზობთ იმ მასალას, რომელიც ეროვნულ არქივშია დაცული, ასევე მისი შთამომავლების მიერ ეროვნული არქივისათვის გადაცემულ ფოტოებს — მსახიობის კინო და თეატრალური როლების ამსახველი კადრები, ასევე, ბიოგრაფიული შინაარსის სურათები, — განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია სესილია თაყაიშვილის საოჯახო ალბომის ფოტოსურათები, რომელიც მსახიობის თეატრალურ როლებს ასახავს — სიუზონი სპექტაკლში „ფიგაროს ქორწინება“, პარასკევა სპექტაკლში „ნაპერწკალიდან“, პრიუდანსი სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“, ჰერცოგინია გალზბურგი სპექტაკლში „რიუ ბლაზი“, კატარინა სპექტაკლში „ჭირვეული ცოლის მორჯულება“.

ბათუმის იუსტიციის სახლში სესილია თაყაიშვილის 105 წლის იუბიელსადმი მიძღვნილი გამოფენა ერთ კვირას გაგრძელდება. მასზე დასწრება კი ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაყუეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 73-35-63. 893 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქაცილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# ოქროს გრან-პრი ქართველების იყო

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა „ოქროს გრან□პრი“ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. აღნიშნული ტურნირი ცნობილი ქართველი ფალავნების, ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელს ატარებს, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად, ამ ტურნირზე მონაწილე გუნდები არცთუ ცნობილი ფალავნებით წარდგნენ.

ასეა თუ ისე, ტურნირი დასრულდა, სადაც ჩვენი მოჭიდავეების უპირატესობა აშკარა იყო და ეს გასაკვირიც არ არის — ყველა წონაში ქართველთა რაოდენობა 50 პროცენტს აჭარბებდა. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის უმსუბუქეს (55კგ) წონაში, 11 მონაწილისგან 7 ქართველი იყო. ნახევარფინალში მათგან მხოლოდ ერთმა — ლაშა გოგიტაძემ გააღწია, ორი სომეხი მეტოქის — არმენ ჩომარიანისა და ჰარუთუნ ჰოვანესიანის ძლევის შემდეგ. ბოლოს კი საჩემპიონო გამარჯვება ირანელ ბაგერ ტავაკოლიანთან იზეიმა და ოქროს მედალი მოიპოვა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში □ოქროს გრან-პრის ჩემპიონის ტიტულამდე გადამწყვეტი ნაბიჯი ირაკლი ჭოჭუას დააკლდა — მან უზბეკ მეტოქესთან, მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონ დილშოდ არიპოვთან წააგო. სამსეტიან დაძაბულ შეხვედრაში ოქროს მედლის ბედი არიპოვის მიერ ბოლო წამებზე შესრულებულმა ბრუნმა გადაწყვიტა.

66 კილოგრამში (19 მონაწილე, 13 ქართველი) ქართულ-ირანული დაპირისპირება ირანელის ჩემპიონობით დასრულდა — ომიდ ნოროზიმ მარად აბულაძეს აჯობა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის 74 კილოგრამი წონითი კატეგორია, ქართული შიდა კონკურენციის მხრივ ყველაზე საინტერესო გამოდგა. საქართველოს ნაკრების ლიდერი მანუჩარ კვირკველია და ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი მანუჩარ ცხადაია ბადის ერთ მხარეს მოხვდნენ და მათი გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა. გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე სეტის ჩატარება გახდა საჭირო. ნახევარფინალის საგზური გაცილებით გამოცდილმა და სახელოვანმა კვირკველიამ მოიპოვა. კვრიკველიას ოქროს გრან-პრის მოსაგებად ფინალში ირანელი ფარშად ალიზადეს ძლევალა სჭირდებოდა, მაგრამ მოულოდნელად, მე-2 სეტში წააგო და ვერცხლს დასჯერდა.



კლასიკოსთა 84 კილოგრამის გადამწყვეტ შეხვედრაში თურქმა ბოლუკბასი იბრაჰიმმა აჩიკო ქიტიაშვილს აჯობა. ამ წონაში მხოლოდ 13 მონაწილე მოგროვდა და ფინალში გასასვლელად ქიტიაშვილს ორი გამარჯვება ეყო, იბრაჰიმი კი, ბადის ქვემოთა ნაწილში მოხვდა და სულ ოთხჯერ მოუხდა ხალიჩაზე გასვლა.

ყველაზე დიდი სიურპრიზი მაყურებლებს ახალგაზრდა ირაკლი ქაჯაიამ (96 კგ) შესთავაზა. ამ წონაში საქმეში საქართველოს ნაკრების 12 კანდიდატი ჩაერთო, სულ კი 17 მონაწილე მოგროვდა. ქაჯაია საჩემპიონო გზას ბიძაშვილის, იაკობ ქაჯაიას ძლევით შეუყვა. შემდეგ ალეკო ბურდილაძესაც აჯობა და ვასილ იმერლიშვილსაც, ფინალში კი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა თავისზე ლამის ერთი თავით მაღალ ირანელთან, მაჰდი ალიარისთან.

მძიმე წონაში მხოლოდ 11 მოჭიდავე მოგროვდა. მათგან 6 ქართველი, თუმცა ექვსივე სამეულს მიღმა დარჩა. ყველაზე შედეგიანად და შთამბეჭდავად ირანელმა ამირ ალიაკბარმა იჭიდავა. ფინალში მან თურქ გუზელ ატილას შანსი არ დაუტოვა.

55 კგ: 1. ლაშა გოგიტაძე (საქართველო), 2. ბაგერ ტავაკოლიანი (ირანი), 3. ისლომ შოდმანოვი (უზბეკეთი), 3. ჰარუთუნ ჰოვანესიანი (სომხეთი);

60 კგ: 1. დილშოდ არიპოვი (უზბეკეთი), 2. ირაკლი ჭოჭუა (საქართველო), 3.ქემალ ხარაბაძე (საქართველო), 3. ალექსან მიხაელიანი (სომხეთი);

66 კგ: 1. ომიდ ნოროზი (ირანი), 2. მარად აბულაძე (საქართველო), 3. ლაშა ლოლაშვილი (საქართველო), 3. მუხრან მაჭუტაძე (საქართველო);

74 კგ: 1. ფარშად ალიზადე (ირანი), 2. მანუჩარ კვირკველია (საქართველო), 3. მანუჩარ ცხადაია (საქართველო), 3. საეიდ აბდვალი (ირანი);

84 კგ: 1. ილდირიმ აჰმეტი (თურქეთი), 2. რევაზ ნადარეიშვილი (საქართველო), 3. მათე სოფაძე (საქართველო), 3. ელმადინ აბდულალაევი (აზერბაიჯანი);

96 კგ: 1. ირაკლი ქაჯაია (საქართველო), 2. მაჰდი ალიარი (ირანი), 3. იაკობ ქაჯაია (საქართველო), 3. მოჰამედ აბდელფათაჰი (ეგვიპტე);

120 კგ: 1. ამირ ალიაკბარი (ირანი), 2. გუზელ ატილა (თურქეთი), 3. ამირ გასემიმონჯარი (ირანი), 3. ვლადიმერ გურალსკი (ისრაელი)

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრში გიორგი ედიშერაშვილი (55კგ) ტურნირში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაერთო. ფინალამდე ოთარ გოგავას და ტრისტან ჩირგაძეს სძლია, გადამწყვეტი გამარჯვება კი, თურქ პეკერ აჰმეთთან მოიპოვა.

60 კილოგრამი წონითი კატეგორია ერთადერთი აღმოჩნდა, რომლის ფინალშიც ქართველმა ვერ გააღწია. ყველაზე რეალური შანსი მალხაზ ქურდიანმა გაუშვა ხელიდან, რომელიც ნახევარფინალში თურქ ჩეტან ერსანთან დამარცხდა.

შალვა მუზიაშვილმა (66კგ) ისე იჩემპიონა, რომ გზად ქართველი არ გადაჰყრია — ფინალამდე რუსი სალამდინ ახმედოვი და თურქები — გორ იაკუპი და მუჰამედ ილხანი დაჩაგრა, ხოლო ფინალში სომეხ დავიდ საფარიანს აჯობა.

74 კილოგრამში გოჩა ლომთათიძემ ფინალში ჭიდაობა სამი ქართველის: რევაზ ივანიშვილის, მარად ზოიძისა და გიორგი მარსაგიშვილის ძლევით გაინაღდა, იქ კი, დემირჩინ ბატუჰანთან დასანანი მარცხი იწვნია — პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ, მეორე-მესამე სეტებში საფინალო სირენამდე ორიოდ წამით ადრე გამოეპარა მეტოქის ილეთი და ვერცხლს დასჯერდა.

84-ში გაჩემპიონების შანსი ხელიდან რევაზ ნადარეიშვილმა გაუშვა, ილდირიმ აჰმეტთან წაგებით. ფინალის გზაზე ნადარეიშვილმა რობერტ ქობლიაშვილი, დავით ქარჩავა და მათე სოფაძე ჩამოიცილა.

96 კილოგრამის კვარცხლბეკზე სამი ქართველი ავიდა, მაგრამ მხოლოდ მეორე-მესამე საფეხურებზე. ჩემპიონის ტიტული კი თურქმა მოჭიდავემ მოიპოვა — სერჰათ ბალჩი საჩემპიონო ალმართს ბაჩანა კარანაძის ძლევით შეუყვა. შემდეგ ლევან სეთურიძესა და ლაშა ქეთიშვილსაც სძლია, ხოლო ფინალში ელიზბარ ოდიკაძეს აჯობა.

მძიმე წონაში მხოლოდ 9 მონაწილე მოგროვდა (აქედან 5 ქართველი) და დამამშვიდებელ ეტაპზე დასაყვანი შეხვედრების ჩატარება საჭირო აღარ გახდა —□ ფინალისტთა მიერ ძლეულები, პირდაპირ □ბრინჯაოს ფინალში□ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გიორგი ნიკურაძემ და ლევან ბერიანიძემ ოქრო-ვერცხლის შანსი დავით მოძმანაშვილთან წაგებით დაკარგეს, ხოლო გიორგი საკანდელიძემ და ბერძენმა იოანის არზუმანიდისმა — ევროპის ბელარუს ფინალისტთან, ალექსეი შემაროვთან მარცხით. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ბერიანიძე და საკანდელიძე ავიდნენ. ჩემპიონის ტიტული კი მოძმანაშვილმა მოიპოვა. ფინალი სამი სეტი გაიწელა და მთელი ეს დრო უილეთოდ გაილია. მოჭიდავეებმა მხოლოდ ბურთულის ამოღებით ისარგებლეს. ფორტუნამ ბელარუსზე მეტად ქართველ მძიმეწონოსანს გაუღიმა.

55 კგ: 1.გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო), 2.პეკერ აჰმეთი (თურქეთი), 3.გივი დავიდოვი (საქართველო), 3.ტრისტან ჩირგაძე (საქართველო);

60 კგ: 1.აგაჰუსეინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანი), 2.ჩეტან ერსანი (თურქეთი), 3.მალხაზ ზარქუა (საქართველო), 3.უმუდ მამადოვი (აზერბაიჯანი);

66 კგ: 1.შალვა მუზიაშვილი (საქართველო), 2.დავიდ საფარიანი (სომხეთი), 3.ცოტნე ბარამიძე (ყაზახეთი), 3.მუჰამედ ილხანი (თურქეთი);

74 კგ: 1.ბოლუკბასი იბრაჰიმი (თურქეთი), 2.აჩიკო ქიტიაშვილი (საქართველო), 3.ბოკე სერდარი (თურქეთი), 3.კოროი კორტოევი (რუსეთი);

84 კგ: 1.დემირჩინ ბატუჰანი (თურქეთი), 2.გოჩა ლომთათიძე (საქართველო), 3.გიორგი მარსაგიშვილი (საქართველო), 3.მეტ ჯენტრი (კანადა);

96 კგ: 1.სერჰათ ბალჩი (თურქეთი), 2.ელიზბარ ოდიკაძე (საქართველო), 3.ლევან სეთურიძე (საქართველო), 3.დავით ქერაშვილი (საქართველო);

120 კგ: 1.დავით მოძმანაშვილი (საქართველო), 2.ალექსეი შემაროვი (ბელარუსი), 3.ლევან ბერიანიძე (საქართველო), 3.გიორგი საკანდელიძე (საქართველო)

# ქართულმა გუნდებმა საევროპო მზადება დაიწყეს

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სადებიუტო გამოსვლისთვის მზადებაში, მცირე პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი „ზესტაფონი“ დღეიდან ახალ რეჟიმში შეუდგება ვარჯიშს.

მცირეხნიანი შესვენებიდან დაბრუნებულთა შორის იქნება თემურ ქეცბაიას მიერ ხორვატებთან სპლიტში გამართული მატჩის წინ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ექვსეული — როინ კვასხვაძე, კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი, მურთაზ დაუშვილი, თორნიკე გორგიაშვილი და ნიკოლოზ გელაშვილი.

მზადების ახალი ეტაპიდანაა მოსალოდნელი 3 ტრავმირებული ფეხბურთელის ზესტაფონელთა რიგებში გამოჩენა. მოგეხსენებათ, ზურაბ მენთეშაშვილმა და გოგი ფიფიამ გაზაფხულზე საზარდულის ოპერაცია გაიკეთეს, ზაალ ელიავას კი ხერხემლის პრობლემა ჰქონდა. მათ სპეციალური სამედიცინო შემოწმება უკრაინაში გაიარეს, საიდანაც მიღებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ექიმები საბოლოო ვერდიქტს, თუ როდიდან შეძლებენ ეს ფეხბურთელები სრულფასოვან ვარჯიშს, ამ დღეებში გამოიტანენ.

უკვე ცნობილია, ავსტრიულ შეკრებაზე „ზესტაფონის“ სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალი. უკრაინული კიევის „დინამოს“, დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა“ და ლვოვის „კარპატის“ გარდა, ქართველების სპარინგ-მეტოქეებად, ჰაიფას „მაკაბის“, რუმინული „კლუჟისა“ და პოლონური „ვისლას“ კანდიდატურები განიხილება. როგორც კლუბის პრეს-ატაშემ, სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, 21 ივნისიდან ხუთ ივლისამდე, ქართველები სულ ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. ასე რომ, „ზესტაფონისთვის“ უცხოური შეკრების მომწყობთ, არჩევანის საშუალება ნამდვილად აქვთ.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“: გუნდი უკვე სლოვენიაშია, სადაც დაბა მორავსკე-ტოპლიცეში დაბანაკდა. როგორც კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძემ გვითხრა, პირობები მშვენიერია და მოედანიც მყუდრო ადგილზეა.

ესპანელმა ალექს გარსიამ გუნდი კვირა საღამოს მსუბუქად ავარჯიშა, გუშინ კი ორი ვარჯიში ჩაატარა. 14 ივნისს “დინამო“ პირველ ტესტ-მატჩს გამართავს — მეტოქე ლუგანსკის “ზარიაა“, სადაც ქართველი ჯაბა ლიპარტია თამაშობს. სავარუდოდ, თბილისელები კიდევ სამ მატჩს გამართავენ: 17 ივნისს ხორვატულ “ვარტექსთან“, 20-ში — სლოვენიის ჩემპიონ “მარიბორთან“, ხოლო 23-ში — ავსტრიის ჩემპიონ “შტურმთან“.

ალექს გარსიას გუნდი შეკრების უმეტეს ნაწილს სლოვენიაში გაატარებს, ბოლო სამი დღე კი ავსტრიაში დაბანაკდება.

ამ ეტაპზე ესპანელი მწვრთნელის განკარგულებაში 23 ფეხბურთელია:

მეკარეები: გიორგი ლორია, სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ნადირაძე;

მცველები: გიორგი რეხვიაშვილი, შოთა კაშია, ირჟი ჰომოლა, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, ლევან ხმალაძე;

ნახევარმცველები: ალექსანდრე კოშკაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი თექთურმანიძე, ჯამბულ ჯილაური, სამირ ჰაჯიბულიჩი, გიორგი კახელიშვილი, ლადო ახალაია, ნიკა ფირცხალავა, ირაკლი ლექვთაძე, რობერტინიო, ნიკა კვეკვესკირი;

თავდამსხმელები: დონალდ ჯუსი, ვახტანგ ფანცხავა, სანდრო იაშვილი.

ოჯახური პირობების გამო, გუნდს ვერ წაჰყვა გოგა ბერაია, თუმცა სავარაუდოდ, ის გუშინ გვიან უნდა შეერთებოდა “დინამოს“ და დღეიდან ჩვეულებრივი რიტმით ივარჯიშებს.

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში არ ჩანს ბექა გოცირიძე, რომელიც სავარაუდოდ, ზამთრამდე უნდა დარჩენილიყო თბილისის „დინამოში“. უკრაინული “დნიპროს“ ფორვარდმა თბილისში ივარჯიშა “დინამოსთან“ ერთად, თუმცა სლოვენიაში გუნდს არ ახლავს. გოცირიძე “დნიპროში“ ბრუნდება, სადაც ან დაიტოვებენ, ან სხვა კლუბში გაანათხოვრებენ. “დინამოში“ კი უკვე გამორიცხულია.

“დინამოს“ პოტენციური ახალწვეულები სლოვენია-ავსტრიაშიც გამოჩნდებიან — ამ მხრივ სიახლეები ყოველდღეა მოსალოდნელი.

კიდევ ერთი ევროტურნირების მონაწილე გუნდი, აწ უკვე რუსთავის “მეტალურგიც“ სლოვენიაშია, სადაც რამდენიმე დღით ჩაასწრო ჩასვლა „დინამოს“. გუნდის განკარგულებაშია უმაღლესი ხარისხის ბუნებრივ და ხელოვნურსაფრიანი მოედნები, სატრენაჟორო დარბაზი და საცურაო აუზი.

“მეტალურგის“ თითქმის მთლიანი შემადგენლობა დღეში ორჯერ ვარჯიშობს. მცირე ტრამვა აწუხებს ოთხ ფეხბურთელს — რეზო გეწაძეს, დენის დობროვოლსკის, ივანე კანდელაკსა და ვაკო ტყემალაძეს.

რუსთაველები პირველ ამხანაგურ მატჩს დღეს ავსტრიაში ადგილობრივი ბუნდესლიგის “მატესრბურგთან“ გამართავენ, 18 ივნისს სლოვენიურ “კოპერთან“ ითამაშებენ, 20-ში — სლოვენიურსავე “მარიბორთან“.

“მეტალურგი“ თბილისში 21 ივნისს გამოემგზავრება და საქართველოში განაგრძობს მზადებას უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩისათვის.

დიდია ალბათობა, რუსთაველებს ევროთასამდე გამოცდილი ცენტრალური მცველი ლექსო კვახაძე გამოაკლდეთ, რომელიც ამ ეტაპზე ლუგანსკის “ზარიას“ შეუერთდა და შესაძლოა, კარიერაც იქ გააგრძელოს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| სალვადორი-კუბა | 6:1 |
| მექსიკა-კოსტა რიკა | 4:1 |

**ეჩ-2011. ფინალური ეტაპი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-უკრაინა | 2:1 |
| ესპანეთი-ინგლისი | 1:1 |

**იტალია. სერია ბ**
**პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| ნოვარა-პადოვა | 2:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
**პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| ელჩე-ვალიადოლიდი | 3:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-მიალბი | 4:0 |
| აიკი-მალმიო | 2:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ვაასა-ჰონკა | 1:1 |
| მიუპა-ჰიკი | 0:2 |
| როვანიემი-კუუპიო | 0:0 |
| ტპს-ჰაკა | 2:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ჩიკაგო | 0:1 |
| დალასი-კანზასი | 1:4 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-სეარა | 4:1 |
| ბაია-ატლეტიკო(მ) | 1:1 |
| ინტერნასიონალი-პალმეირასი | 2:2 |
| კორინთიანსი-ფლუმინენსე | 2:0 |
| ატლეტიკო(პ)-ფლამენგო | 1:1 |
| ბოტაფოგო-კურიტიბა | 3:1 |

**არგენტინა. კლაუსურა**

| | |
|---|---|
| ურაკანი-ველეჟი | 0:2 |
| ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი | 1:1 |
| ლანუსი-არხენტინოსი | 0:1 |
| ბოკა-ბანფილდი | 1:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**
**ფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| მაიამი-დალასი | 95:105 |
| სერიის ანგარიში | 2:4 |

**ეჩ-2011. ა დივიზიონი**
**ქალები**

| | |
|---|---|
| გერმანია-უნგრეთი | 59:53 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-კანადა | 71:66 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 73:61 |

**ფრენბურთი**

**ევროლიგა. ქალები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-ესპანეთი | 1:3 |
| ბელარუსი-რუმინეთი | 0:3 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 3:0 |

**საერთაშორისო ტურნირი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ჰოლანდია | 1:3 |
| აშშ-ჩინეთი | 1:3 |
| კუბა-იაპონია | 0:3 |

**მსოფლიო ლიგა. კაცები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-აშშ | 1:3 |
| გერმანია-იაპონია | 2:3 |

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-ავსტრია | 3:0 |
| საბერძნეთი-ესპანეთი | 0:3 |
| ხორვატია-ბელგია | 0:3 |
| ბელარუსი-რუმინეთი | 3:1 |

**ხელბურთი**

**მჩ-2012. საკვალიფიკაციო ეტაპი. ქალები**

| | |
|---|---|
| სლოვენია-საფრანგეთი | 20:28 |
| უკრაინა-ისლანდია | 24:24 |
| დანია-პოლონეთი | 24:19 |

**მჩ-2012. საკვალიფიკაციო ეტაპი**
**კაცები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ესტონეთი | 34:27 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 30:22 |
| გერმანია-ლატვია | 32:22 |
| რუსეთი-ბელარუსი | 35:27 |
| სლოვაკეთი-ჩერნოგორია | 36:21 |
| სლოვენია-უკრაინა | 43:32 |
| დანია-შვეიცარია | 34:29 |
| ესპანეთი-რუმინეთი | 36:23 |
| ხორვატია-ლიტვა | 34:26 |
| შვედეთი-ისრაელი | 28:17 |
| ისლანდია-ავსტრია | 44:29 |
| მაკედონია-ბოსნია | 25:19 |

**ჩოგბურთი**

**ვტა. ბირმინგემი. ბალახი. ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰანტუჩოვა-ლისიცკი | 3:6;2:6 |

**ვტა. კოპენჰაგენი. ჰარდი. ფინალი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-საფაროვა | 6:1;6:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მათე ღვინიანიძე: „სევასტოპოლში“ ჩამოსვლას სულაც არ ვნანობ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცუდი შედეგები ჰქონდა, მე-2 წრეში კი, სიტუაცია გამოსწორდა, მაგრამ მაინც გავვარდით პრემიერლიგიდან. სულ ცოტა დაგვაკლდა ადგილის შენარჩუნებამდე. ვიცი, ძალიან გავაწბილეთ გულშემატკივრები, მაგრამ მათ ვპირდებით, რომ მომდევნო წელს პრემიერლიგაში დავბრუნდებით

***— არ ნანობთ, რომ “სევასტოპოლში“ გააგრძელეთ კარიერა?***

— სულაც არა. მოვხვდი მშვენიერ ქალაქში და ძლიერ კლუბში, რომელსაც ბრწყინვალე გულშემატკივრები ჰყავს. მეგობრულ კოლექტივს შესანიშნავი სპეციალისტიც წვრთნიდა. კარიერის განმავლობაში ბევრ დიდ მწვრთნელთან მიმუშავია: კლაუს ტოპმიოლერთან, ექტორ კუპერთან, თემურ ქეცბაიასთან, იური სიომინთან და მათ დავუმატებდი ანგელ ჩერვენკოვსაც. საერთოდ, სევასტოპოლში თავს ისე ვგრძნობ, როგორ სახლში.

***— ვისთან მეგობრობდით გუნდში?***

— ბევრთან, თუმცა, ყველაზე უფრო, ჩემნაირ ახალწვეულებთან: სკობასთან, ვორონინთან და დოპილკასთან.

***— სევასტოპოლში ყველაზე მეტად რამ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?***

— ოთხ თვეში ბევრი რამის ნახვა მოვასწარი, თუმცა, ყველაზე მეტად ჩვენი გულშემატკივრები მომეწონნენ. როცა “მიუნხენ 1860“-ში ვთამაშობდი, საშინაო მატჩებს „ალიანს არენაზე“ ვატარებდით, თუმცა, მხარდაჭერა სევასტოპოლშიც ფანტასტიკურია.

***— რა გეგმები გაქვთ ახლო მომავალში?***

— სევასტოპოლში სათამაშოდ ჩამოვედი. მომავალშიც ამ კლუბში მსურს გამოსვლა, რადგან აქ პროფესიონალური კუთხით პროგრესირება შესაძლებელია. ჩერვენკოვთან მუშაობა ყველას გვსიამოვნებს. მან ოთხ თვეში კარდინალურად შეცვალა სიტუაცია უკეთესობისკენ. ჩერვენკოვი დიდი ადამიანი და ტოპ-მწვრთნელია, მაგრამ თუ ის წავა, მაშინ დავფიქრდები სხვა კლუბების წინადადებებზე. მოუთმენლად ველი, რას გადაწყვეტენ, ანუ დარჩება თუ არა ჩერვენკოვი „სევასტოპოლში“.

შედით საიტზე atb.ge

## როგორი ალმზრდელი ხართ




1. ბავშვი ცხოვრებაში მრავალ პრობლემას გადაეყრება, მშობლის დანიშნულებაა ვადამდე ბავშვის პრობლემებისაგან დაცვა.
2. ხანდახან დასანანია, ბავშვი რომ იზრდება, პატარა ხომ ასეთი საყვარელია.
3. თუ პატარა სიცრუეს ამბობს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტყუება — უბრალოდ ფანტაზიორობს.
4. სკოლის თანამედროვე პროგრამები ძალიან რთულია.
5. დედა-შვილსა და მამას შორის ემოციური ბუფერის როლს უნდა ასრულებდეს, რადგან მამები ძალიან მკაცრები არიან.
6. თუ ბავშვმა რაიმე სასარგებლო საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, მაინც შესაქებია.
7. უშუალობა — ეს ბავშვის ღირსებაა და არა ნაკლი.
8. ჩემი შვილი სკოლაში მეტ წარმატებას მიაღწევდა, მასწავლებლები რომ გადამტერებული არ იყვნენ.
9. ყველა ბავშვს აქვს ღირსებები, რაც ნაკლოვანებებზე უფრო მნიშვნელოვანია.
10. როდესაც მშობლები შვილის საქციელის შეფასებაში ვერ თანხმდებიან, დედის აზრი უნდა გავიზიაროთ, რადგან ქალებს უკეთ ეხერხებათ ბავშვის აღზრდა.
11. ბავშვობაში სპორტი საჭიროა არა იმდენად მაღალი შედეგების მისაღწევად, რამდენადაც ჯანმრთელობის გასაკაჟებლად.
12. ბავშვი ხშირად იმიტომ ჯიუტობს, რომ მშობლები მისგან ნამეტანს მოითხოვენ.
13. თუ ბავშვს არ უყვარს სიბნელეში დაძინება, საწოლთან ნათურა უნდა დაუდგათ.
14. ხშირად ბავშვის ცელქობა თანატოლების ცუდი ზეგავლენით არის განპირობებული.
15. საოჯახო მაგიდასთან ყველაზე საუკეთესო ნაჭერი ბავშვისაა.

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის შესახებ**

**0-7 ქულა**

**დედა** — აღზრდის მამაკაცურ მეთოდს ამჯობინებთ, ბავშვისადმი სიყვარულს მაღალი მომთხოვნელობა ახასიათებს, მიზანი გასაგებია, მაგრამ მათი მიღწევა უფრო რბილი მოპყრობითაც შეიძლება

**მამა** — აღზრდისადმი ტრადიციული მამაკაცური მიდგომის მომხრე ხართ, გსურთ თქვენი შვილი პიროვნებად გაიზარდოს და ყველგან წარმატებული იყოს, თქვენი მოთხოვნები და შეფასებები მისთვის დიდი სტიმულია, ეცადეთ არ გადააჭარბოთ.

**7-12 ქულა:**

როგორც დედა, ისევე მამა, შუალედურ პოზიციებზე იმყოფებიან, ერთი მხრივ კარგია, რადგან ექსცესებისაგან დაცული იქნებით, მაგრამ დაფიქრდით, იქნებ ბავშვის აღზრდას გულგრილად ეკიდებით.

**13-15 ქულა:**

**დედა** — აღზრდისადმი ქალისათვის დამახასიათებელ მიდგომას ამჟღავნებთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ზედმეტი ზრუნვით შეიძლება ბავშვის თვითმყოფადობა შეზღუდოთ.

**მამა** — ბავშვთან დამოკიდებულებაში იზიარებთ დედის პოზიციას, ეს ერთი მხრივ კარგია, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებთ მამაკაცის როლს აღზრდის საკითხში.

გ.თ.

# „რვიანი“ ხალხის მხარეზე უნდა გადმოვიდეს

## დამნაშავე ხელისუფლების გარდა ყველას დაველაპარაკებით

*გულიკო ბალა ე*

2003 წლის რევოლუციის პერიოდში წამოყენებულ იქნა ლოზუნგი: „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. აღნიშნული ლოზუნგი სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსასვლელად მშვენივრად გამოიყენა.

„საქართველო შევარდნაძის გარეშე“, ამ ლოზუნგის ავტორი რესპუბლიკური პარტია გახლდათ. თუმცა, ახლა ისეთი რადიკალური აღარ არის, როგორც შევარდნაძის გადაყენებისას.

რესპუბლიკელებმა სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში არა მარტო ამ ლოზუნგით, არამედ რეალურად შეიტანეს წვლილი. ისინი სააკაშვილის საარჩევნო სიის პირველ რიგებში იყვნენ „რვიანის“ წევრი სხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად და მიშას პიარიც კარგად გამოსდიოდათ. ახლა ისინი კონსტრუქციული ოპოზიციის როლს თამაშობენ და 26 მაისის შემდეგაც ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში მოლაპარაკებების გაგრძელებას მხარს უჭერენ, ანუ ე.წ. „რვიანის“ წევრები არიან.

შემდეგ გაჩნდა ლოზუნგი: „საქართველო სააკაშვილის გარეშე“. თუ არ ვცდები, ეს ლოზუნგიც რესპუბლიკელებს უნდა ეკუთვნოდეთ. ამ ლოზუნგით გამოდიოდა ქართველი საზოგადოება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ 2007-2009 წლებში.

რესპუბლიკელების მიერ წამოყენებული ლოზუნგები გუშინ „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ მიერ წამოყენებულმა ლოზუნგმა გამახსენა. იმდენად საზარელი და აუტანელი გახდა სააკაშვილი და მისი რეჟიმი ქართველი ხალხისთვის, იმდენად ამაზრზენი იყო ხელისუფლების მოქმედება 26 მაისს, რომ ქართულ არაპოლიტიკურ სპექტრში გაჩნდა ლოზუნგი: „ყველა მინუს დამნაშავე რეჟიმი“, ანუ საქართველო სააკაშვილის რეჟიმის გარეშე.

„ყველა მინუს დამნაშავე რეჟიმი“ საზოგადოების წიაღიდან წამოვიდა. ამ ლოზუნგით მისი ავტორები აცხადებენ, რომ ახლა მხოლოდ სააკაშვილი კი არა, მთელი ნაციონალური მოძრაობა თავისი შენაკადებითა და სახელისუფლებო სტრუქტურებით ხალხისთვის აუტანელ, სადამსჯელო ორგანოდ გადაიქცა.

ამიტომ საზოგადოების ყველა ფენაში დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ გაუშვან არსებული ხელისუფლება პოლიტიკური ასპარეზიდან ისე, რომ მათ საქართველო თან არ გადაყვეს.

26 მაისის დარბევა მანამდე დარჩება საზოგადოების განსჯის საგნად, სანამ მომხდარს საერთაშორისო საგამოძიებო კომისია არ გამოიძიებს და უტყუარ დასკვნას არ დადებს, რომელსაც ქართული საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკური ოპოზიციური სპექტრი ენდობა.

მიუხედავად იმისა, ხელისუფლება ცდილობს სხვადასხვა ღონისძიებებით გადაფაროს, ე.წ. დამოუკიდებლობის დღის სადღესასწაულო აღლუმის წინა სადამსჯელო ოპერაციის საშინელი შედეგები, მანამ ქართველი საზოგადოება განსჯის რეჟიმშია და არ ივიწყებს იმ საშინელებებს, რაც რეჟიმმა ხალხს თავს დაატეხა.

გუშინ საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ, რომელშიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები შედიან, საქართველოში



არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ერთიანი მოქმედებისაკენ მოუწოდა.

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობას“ უზნეობად მიაჩნია 26 მაისის შემდეგ ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა.

მათ მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია:

— ხელისუფლების მიერ 2001 წლის 26 მაისს განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ, არსებულ დამნაშავე რეჟიმთან კონტაქტი უნდა განხორციელდეს მხოლოდ საჯაროდ და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. მასთან ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობა არა მარტო არაეფექტურად, არამედ უზნეობადაც მიგვაჩნია.

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა“ 26 მაისს თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამოსაძიებლად საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.

— 2011 წლის 11 ივნისს ქალაქ ბრიუსელში, შუმანის მოედანზე გაიმართა წინააღმდეგობის მოძრაობის საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებმაც ევროსტრუქტურების პირველ პირებს პეტიციით მიმართეს, შეიქმნას საერთაშორისო საგამოძიებო კომისია, რომელიც 2011 წლის 26 მაისს ქალაქ თბილისში განვითარებულ მოვლენებს შეისწავლის, — ნათქვამია „წინააღმდეგობის მოძრაობის“ განცხადებაში.

წინააღმდეგობის მოძრაობას აუცილებლად მიაჩნია მთელი ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება ერთი პრინციპით: „ყველა მინუს დამნაშავე რეჟიმი!“

„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ წარმომადგენლები ნანა კაკაბაძე, ადა მარშანია, დავით ლილუაშვილი, ნანა დევდარიანი, ლელიკო ჯაფარიძე, სოსო მანჯავიძე, შოთა გლურჯიძე და სხვები მიუთითებენ იმაზე, რომ საჭიროა საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა სპექტრმა ერთობლივად იმოქმედოს, გაერთიანდეს არა ორგანიზაციულად, არამედ ერთიანი მიზნის მისაღწევად პრინციპების ირგვლივ.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ მიმართავს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უმოკლეს დროში დააფიქსირონ პოზიცია და ხედვა საერთაშორისო საგამოძიებო სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით.

წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები აფიქსირებენ, რომ მათი პრინციპია, „ყველა მინუს დამნაშავე ხელისუფლება“. დამნაშავეებთან, ტერორისტებთან, ბანდიტებთან, უზურპატორებთან ყოველგვარი ლაპარაკი დამთავრდა. მათთან ლაპარაკი უზნეობაა. 26 მაისის შემდეგ ამ ადამიანებთან ერთად მაგიდასთან დაჯდომა და დახურულ სივრცეში ლაპარაკი არის უზნეობა. მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება მათ დანაშაულზე იყოს ლაპარაკი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით, რომლებმაც უნდა გამოიძიონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. ჩვენი პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები სათანადოდ არ გამოიძიებენ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აქ პირუთვნელი გამოძიება ჩატარდება და ყველაფერი დალაგდება, ის საღ ჭკუაზე არ არის.

ადა მარშანიას აცხადებს, რომ ისინი არ საუბრობენ სტრუქტურულ და ორგანიზაციულ გაერთიანებაზე. „იგულისხმება გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ ფასეულობების, ზნეობის, მორალის და პრინციპების გარშემო. ფრაზა, რომ პოლიტიკა არის ბინძური საქმე, ეს არის ტყუილი. ამ ფრაზას წინ იფარებენ ავანტიურისტი პოლიტიკოსები და მერკანტილური ადამიანები, რომ ხელისუფლებაში მოკალათდნენ და შემდეგ დაატრიალონ ის, რაც დაატრიალეს ჩვენს სამშობლოში ბოლო 20 წლის განმავლობაში. ეს აღარ დამთავრდა. ამიტომ საზოგადოებაში წინა პლანზე უნდა წამოვიდეს ფასეულობები, მორალი და ზნეობა. ამის ქომაგი უნდა იყოს თავად საზოგადოება. საზოგადოება ამ პრინციპით უნდა მიუდგეს პოლიტიკურ სპექტრსა და პოლიტიკოსების საქმიანობას. მოვუწოდებთ საზოგადოებას გაერთიანებისაკენ“.

ლელიკო ჯაფარიძე ამბობს, რომ საქართველო სტრუქტურებად იყოფა. სხვადასხვა ორგანიზაციები სხვადასხვა პოზიციებზე დგანან. საზოგადოება კი ცალკე რჩება. „როგორ ვენდოთ „რვიანს“, როცა ხელისუფლებას ცალ-ცალკე ელაპარაკება. მათ წინ უნდა იდგეს არასამთავრობო სექტორი“.

— საქართველო სტრუქტურულად იყოფა. არიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავთავიანთ აზრს ავრცელებენ. ერთი ამბობს ერთს, მეორე — მეორეს აზრს. მაგრამ საზოგადოება რჩება ცალკე და საზოგადოებრივი აზრი ბოლომდე შეფასებული არ არის. როგორ დაველაპარაკოთ „რვიანს“, როცა ისინი ელაპარაკებიან ხელისუფლებას და თავისი ინტერესებისთვის იბრძვიან. სად არის საზოგადოების აზრი გათვალისწინებული? მათ წინ უნდა იდგნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლით არ არიან დაინტერესებული. მე, მაგალითად, არ ვარ დაინტერესებული პარლამენტში შესვლით, — განაცხადა ლელიკო ჯაფარიძემ.

ე.წ. „რვიანთან“ და მასში შემავალ პარტიებთან დაკავშირებით ნანა დევდარიანმა განაცხადა, რომ „რვიანს“ არც უთქვამს სხვა პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში ჩართულყვნენ.

ნანა დევადარიანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ადრე ხელისუფლებასა და „რვიანის“ პოლიტიკურ სუბიექტებთან ხელისუფლების მოლაპარაკებებს არასამთავრობო ოარგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და მათ გამოჰქონდათ ამბავი იქ მიმდინარე მოლპარაკებების თაობაზე. ბოლო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნულ მოლაპარაკებებში აღარ მონაწილეობდნენ. ამდენად, საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რაზეა საუბარი მოლაპარაკების მაგიდასთან.

შოთა გლურჯიძემ თქმით, უნდათ დაანახონ ე.წ. „რვიანს“, რომ მათ გვერდით გდანან, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები ქართველ ხალხს უჭერენ მხარს.

სოსო მანჯავიძის თქმით კი, ქუჩის აქციებიც იქნება. თუმცა, ამის თაობაზე ისინი სხვა დროს გააკეთებენ განცხადებას. „მთავარი ეს არ არის. აქციაზე გამომსვლელმა ხალხმა წინასწარ უნდა იცოდეს, რისთვის გამოდის. აქციების თაობაზე ცალკე ბრიფინგზე განვაცხადებთ“.

კითხვაზე, 26 მაისის შემდეგ არის თუ არა რესურსი აქციებისთვის? სოსო მანჯავიძემ უპასუხა: რა თქმა უნდა, აქციებისთვის რესურსი არის. თუმცა, ამის თაობაზე ისინი შემდგომში ისაუბრებენ.

დავით ლილუაშვილის თქმით:

— საზოგადოებაში აქციების რესურსი არის. ამის დასტურია 28-29 მაისის აქციები, როცა დაიგმო ძალადობა და ხელისუფლების მიმართ კონკრეტული პრეტენზიები იქნა წამოყენებული. საზოგადოებრივ პოლიტიკურ სპექტრში დიალოგის რეჟიმში ვაპირებთ ყოფნას.

„წინააღმდეგობის მოძრაობაში“ შემავალი არასამთავრობოების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ავტორიტარულ რეჟიმთან დიალოგის რეჟიმში შესვლა მათთვის კონტრპროდუქტიულია. არც „რვიანთან“ და არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არავითარ დაპირისპირებას არ აპირებენ. ამ ბრძოლაში ყველა ადამიანის ყოფნა აუცილებლია.

ისინი აცხადებენ, რომ დღევანდელ დღეს ამ ხალხთან ლაპარაკი ზნეობრივად წარმოუდგენელია.

მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება დასხდნენ ხელისუფლებასთან, როცა მათ შექმნეს სადამსჯელო მექანიზმი, რომელმაც 26 მაისს საშინელი ქმედებები ჩაიდინა, ქართველი მოქალაქეები მოკლა, მათი ნაწილი დღესაც დაკარგულია. სააკაშვილის რეჟიმთან საუბარი არ შეიძლება. ამ კუთხით ისინი „რვიანსაც“ და დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრსაც მხარს დაუჭერენ. „რვიანს“ ალბათ შიში აქვს, რომ ამერიკის მხარდაჭერას დაკარგავს. იმ ამერიკასაც უნდა დავანახოთ, რომ საქართველოში არის ქართველი საზოგადოება. მათ ქართველ საზოგადოებას მხარი უნდა დაიჭირონ და არა კონკრეტულად რაღაც სეპარატისტული მოლაპარაკებებს აძლევდნენ მწვანე შუქს. ჩვენ „რვიანს“ არ ვებრძვით. პირიქით, გვინდა დავანახოთ, რომ მათ გვერდით ვდგავართ და გადმოვიდნენ ხალხის მხარეზე.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გარეული მტრედი; 2. ძველი ქართული წონის ერთეული; 3. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 4. ნელი მუსიკალური ტემპი; 5. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 8. მარმარილოს საბადო კახეთში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 12. დაღესტნელთა ქართული სახელწოდება; 14. ინდოეთსა და ცეილონში გავრცელებული ირემი; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

**თარაზულად:** 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 7. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული მხარე; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 11. მარმარილოს ნატეხებისგან, სმალტისგან ან ფერადი კენჭებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 13. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 15. ბალეტ „დონ-კიხოტის“ პერსონაჟი; 17. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პარადი; 4. კვებულა; 7. კაფელი; 9. მარინა; 11. ოსირისი; 12. კლინკეტი; 13. კომოდი; 17. კვარცი; 18. ანტი; 19. ელევატორი; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. პონი; 2. დაფნა; 3. პრიზმა; 5. ვარდი; 6. ლაზურიტი; 8. მასტოდონტი; 10. ესკორტი; 12. კადრილი; 14. ქარტია; 15. ლიმიტი; 16. პრიმა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ლომი; 2. ისინდი; 3. ნესტორი; 4. სამუმი; 5. ატამი; 6. ბუა; 7. მუტი; 8. ბრამსი; 9. ჩაი; 10. სოზარ; 11. აბცუგი; 12. პიჟამა; 13. პონი; 14. ისანი; 15. ეპი; 16. ილი; 17. დია; 18. სლალომი; 19. აისი; 20. ლეთე; 21. კიტელი; 22. ადლერი; 23. მედუზა; 24. ტისა; 25. მიხაი; 26. მეჩეთი; 27. ტომ; 28. ტერეზა; 29. მნე; 30. სკა; 31. რამზესი; 32. კორომი.

**სურათებზე:** კეიტ უინსლეტი; ანდრეი შევჩენკო.

# განათლების რეფორმა დამარცხდა

ქეთი ხომერიკი

**სასწავლო წელი დამთავრდა. შედეგი? რამდენიმე ათასმა მოსწავლემ ვერ შეძლო ატესტატის აღება. ვისი ბრალია? დამნაშავეა ახალგაზრდობის უცოდინრობა! — აცხადებს მასმედია. დამნაშავეა განათლების რეფორმა, — ამბობს ჩვენთან საუბარში განათლების ერთ-ერთი პროფკავშირის წარმომადგენელი. რა მომავალი ელის საქართველოს საზოგადოებას ასეთი ახალგაზრდობის ხელში? რა გზას დავადგეთ? არის თუ არა გამოსავალი? აი, კითხვები, რომელიც სულ უფრო და უფრო სერიოზულად აშფოთებს ჩვენს საზოგადოებას, თანაც, ეს შეშფოთება უფრო მძაფრია, ვიდრე უკვე გაცვეთილი და მოძველებული რიტორიკული შეკითხვა — გვეშველება რამე? მართლაცდა, რა მოხდება, როცა ქვეყნის მართვის სადავეები იმ თაობის ხელში გადავა, ვისაც ქართველი მწერლების შესახებ ელემენტარული ცოდნაც არ გააჩნია? რა კურსი უნდა აიღოს ქართულმა განათლებამ და საერთოდ, საზოგადოებამ? ნუთუ მართლაც ისეთი პროცესი მიდის განათლებაში, რომ ამას განათლების რეფორმა უკვე აღარ უნდა ერქვას?**

„ახალი თაობა“ განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირის ერთობის წარმომადგენელ დავით წიქარიშვილს ესაუბრა:

***— ბატონო დავით, სასწავლო წელი დამთავრდა, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ეს წელი?***

— ამ სასწავლო წელს ერთი თავისებურება გამოიკვეთა, დიდი ხანი არ არის, რაც შემოღებულ იქნა ე.წ. სკოლის დამამთავრებელი გამოცდები თითქოსდა იმ მოსაზრებით, რომ სკოლაში სწავლის დონე აიწევა, აქაოდა, ბავშვები კარგად ისწავლიან, თუ გამოსაშვებ გამოცდებს შემოვიღებთო. მივიღეთ ცოტა სხვა ეფექტი — ახალგაზრდობამ მასობრივად დაიწყო სიარული რეპეტიტორებთან, იმიტომ, რომ ის სტანდარტები, პროგრამები, სახელმძღვანელოები და სასწავლო პროცესის ორგანიზების ის ფორმა, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ ითვლება წარმატებულ ფორმად და მთლიანად რეფორმის წარმატებად, აბსოლუტურად არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოსწავლეებს ნორმალურად ჩაებარებინათ დამამთავრებელი რვა გამოცდა. ეს არის ძირითადი ცვლილება, რომლითაც შეგვიძლია დავახასიათოთ წლევანდელი სასწავლო წელი. რაც შეეხება იმ სიახლეებს, რომლებიც საგანმანათლებლო პოლიტიკაში ამ ცვლილებებს მოჰყვა, სჯობს დაველოდოთ საერთო ეროვნული გამოცდები რა შედეგებს გვაჩვენებს და ამის შემდეგ ჩამოვყალიბდეთ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ვლაპარაკობ რეალურ სურათსა და რეალურ შედეგებზე და არა იმ თავის ქებაზე, რომელსაც რეფორმის საინფორმაციო უზრუნველყოფასთან არაფერი აქვს საერთო და რომელიც ყოველდღე გვესმის ტელევიზიებიდან. მარტივი მაგალითი — ყოველდღე ტელე ან ინტერნეტ სივრცეში ერთი სიუჟეტი მაინც გადის, სადაც ხდება სტუდენტი ახალგაზრდობის გამოკითხვა, აქვთ თუ არა პასუხი იმ ელემენტალურ შეკითხვებზე, რაც ყველა ქართველმა ბავშვობიდანვე უნდა იცოდესბ მაგ. ვინ დაწერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და ა.შ. სასაცილოა, რომ თითქოსდა ამ უცოდინარობას (გარწმუნებთ, ჩვენი ახალგაზრდები ნამდვილად არ არიან ასეთი განვითარების დონის, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა,) არავინ აკავშირებს განათლების ე.წ. რეფორმასთან და არავინ არ თვლის, რომ განათლების რეფორმას ვერ დაუძახებ წარმატებულს, როცა მარტო წერა-კითხვის უცოდინარი კი არა, არამედ გონებაჩლუნგი ახალგაზრდა ხდება სტუდენტი. ამ პროპაგანდისტულ-იდეოლოგიურ ფონზე მიჭირს სერიოზულად ვისაუბრო განათლების რეფორმის წარმატებულობასა და ცვლილებებზე.

***— თქვენ ახალგაზრდების განვითარების დაბალ დონეს ხსნით განათლების რეფორმის უვარგისობით, ასეთ შემთხვევაში რაში სჭირდება ამ სიუჟეტის ავტორებს ახალგაზრდობის ლანძღვა?***

— დღევანდელ პროპაგანდისტულ მანქანას ახალგაზრდობისადმი ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური მესიჯი აქვს გამზადებული (არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ კულტურაში უკვე დამკვიდრებულია). მესიჯის შინაარსი ასეთია — შეგიძლია იყო ცუდი სტუდენტი, ან საერთოდ არ იყო სტუდენტი, შეგიძლია არაფერი არ ისწავლო და 27-28 წლის ასაკში გახდე მდგრადი განვითარების ან რომელიმე სხვა დარგის მინისტრი, თუ მაინცდამაინც, შეიძლება სკოლის დირექტორთა ასოციაცია გააკეთო და დირექტორებს ასწავლო, როგორ ჩაატარონ გაკვეთილი, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სკოლა და ა.შ. ცხადია, პროფესიონალიზმი ყოველთვის ასაკთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ გამოცდილებას გადამწყვეტი როლი აქვს მინიჭებული პროფესიონალის ჩამოყალიბებაში. ხელისუფლება, რომელმაც ჩარეცხილებად გამოაცხადა და მხოლოდ ასაკის გამო დაიწუნა (გეგონება, რომელიმე სპორტულ შეჯიბრში აპირებდა მონაწილეობას ეს ხალხი) თანაც, სამსახურებიდან გაყარა პროფესიონალები, რომლებიც დაამშვენებდნენ მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნის განათლებისა თუ მეცნიერების სისტემებს, ამ ფორმით ცდილობს შეაგუოს საზოგადოება იმ აზრთან, რომ მერე რა, რომ შენმა შვილმა ქართული წერა-კითხვა ძლივს იცის და მაინცდამაინც ქართული მწერლობის ცოდნითაც ვერ დაიკვეხნის, საშიში არაფერია, აგერ, ერთმა დიდი თანამდებობის პირმა სულ არ იცის, სად არის დასაფლავებული აკაკი წერეთელი, მაგრამ სამსახურიც კარგი აქვს და შემოსავალიც, თანაც, ერთობ წარმატებული მინისტრიაო (აქვე მინდა გავიხსენო, რომ ჩვენ უკვე რვა წელია, ცუდი მინისტრი არ ვიცით, როგორია, ჩვენი მინისტრები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყონ — საუკეთესოებად და კიდევ უფრო კარგებად) ამიტომაა, რომ თურმე, არაფერი დაშავდება, თუ ქართველებს იაფ და უხარისხო განათლებაზე ორიენტირებული სასწავლებლები ექნებათ, ჯერ ერთი, ვერც გაიგებენ, რა არის და როგორი უნდა იყოს კარგი სპეციალისტი და მეორე — ნორმალურ ქვეყანაში სპეციალისტების შემკვეთი და განათლების დონისა თუ კვალიფიკაციის ხარისხის მთავარი შემფასებელი — ბაზარი მაინც ისეთ დღეშია საქართველოში, რომ ადგილობრივი კადრი, გენიოსიც რომ იყოს, მაინც ხშირად და ხანგრძლივი დროით რჩება უმუშევარი... ეს მიდგომა 21-ე საუკუნეში, როცა ინფორმაციის მნიშვნელობაც და შეხედულებებიც ინფორმაციის შესახებ აბსოლუტურად შეცვლილია (ინფორმაცია გახდა იარაღიც, სიმდიდრეც, ძალაც, გავლენაც და ა.შ.) ცხადია, დამღუპველია. ჩვენ სპეციალისტები სხვა ქვეყნებიდან შემოგვყავს, მათ თავიანთი მუშახელი მოჰყვება, ხოლო ჩვენი სპეციალისტები (ახლახან კურსდამთავრებულებიც კი), როგორც წესი, უმუშევრად სხედან, ან მათ დასაქმებას შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს კი ნამდვილად არ უწყობს ხელს ჩვენი სპეციალისტების, როგორც პროფესიონალების, ზრდას. უმაღლეს სასწავლებლებშიც ფაკულტეტების რაოდენობა და სამომავლოდ საჭირო და მოსამზადებელ სპეციალისტთა ოდენობის გამოთვლა ხდება ულოგიკოდ და უსისტემოდ, არ არის შესწავლილი ბაზრის თავისებურებანი და ამიტომაც სავალალო შედეგები გვაქვს ამ სფეროში. ქართული განათლების მესვეურნი კი კმაყოფილნი არიან საკუთარი მიღწევებით და 24 საათს (ეს სიტყვებიც, 24 საათი, ალბათ, აჯობებს, რომ ბრჭყალებში ჩავსვათ) თავის ქებას უნდებიან, არავითარი პოლემიკა პრესაში ან ტელევიზიაში, არავითარი დიალოგი მსოფლიოს წამყვან სასწავლებლებსა თუ უნივერსიტეტებთან... ასეთ ფონზე, ცხადია, ვიღაცას უჯობს თქვას, ახალგაზრდობის ბრალია, რომ ჩვენი განათლების სისტემა იზოლაციონიზმისა და კარჩაკეტილობის გზას დაადგა, თორემ რეფორმა მშვენივრად მიმდინარეობსო.

***— რას ნიშნავს თქვენი ფრაზა ჩვენი განათლების სისტემა იზოლაციონიზმისა და კარჩაკეტილობის გზას დაადგა? როგორ წარმოგიდგენიათ კარგია სისტემა?***

— თქვენი ირონიული და სკეპტიკური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არ მიკვირს, ჩვენმა საზოგადოებამ უბრალოდ არ იცის, რას ნიშნავს თანამედროვე განათლება და ის ბოლონიის პროცესი, რომელზეც ლომაია გველაპარაკებოდა, რა არის რეალურად და რა შინაარსობრივ დატვირთვას დებენ ამ ტერმინში ჩვენი განათლების ბოსები (ამ სიტყვას, ცხადია, ბრჭყალებში ვსვამ) საქმე ისაა, რომ მაგ. ბელგიელმა სტუდენტმა დღეს შეიძლება მოისურვოს გერმანიაში ფილოსოფიის კურსის ერთი სემესტრის მოსმენა რომელიმე ცნობილ გერმანელ (ან, უბრალოდ, გერმანიაში მოღვაწე) პროფესორთან და ამ საქმეში მას თავისი უნივერსიტეტი დაეხმარება, ბანკის ვალს კი არ აიღებს (ბანკის ვალსაც გააჩნია, არა?) უბრალოდ, სტუდენტთა გაცვლის პროგრამა უზრუნველყოფს მისი ამ სურვილის დაკმაყოფილებას. ავსტრიის რომელიმე უნივერსიტეტმა, შესაძლოა, ფრანგი პროფესორი მიიწვიოს ერთი ან რამდენიმე წლით. აქ კი, თუ ვინმე ჩამოვა, ჩამოვა ერთსაათიანი პოპულარული ლექციის წასაკითხად, ხოლო ქართველი ახალგაზრდა თუ ევროპაში ან ამერიკაში მიდის განათლების მისაღებად, ამაში ქართული განათლების სისტემის დამსახურება საერთოდ არ არის — მისი ოჯახი ამზადებს წლების განმავლობაში სხვადასხვა საგნებში და, როგორც წესი, დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული თანამედროვე განათლების მიღება ქართველი ახალგაზრდისათვის (აქ ქართული გენეტიკური ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენი ახალგაზრდობა დღესაც მასობრივად არის დაინტერესებული ძვირადღირებული, ხარისხიანი განათლებითა და საზღვარგარეთული სამეცნიერო კარიერით). რაღას გვატყუებდნენ (და გვატყუებენ), რა საჭიროა ამდენი მანჭვა-გრეხვა? განათლების რეფორმა დამარცხდა, დამარცხდა იმიტომ, რომ არასწორ გზას დაადგა, არასწორი მათოდები აირჩია მიზნების მისაღწევად და სიცრუე და თვითმოტყუება საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთადერთი ფორმა.

***— თქვენი აზრით, რა გზა უნდა აერჩია ქართულ განათლებას, წარმატებული რომ ყოფილიყო?***

— ეს კითხვაც და, მით უმეტეს, პასუხი შორს სცილდება ერთი საგაზეთო ინტერვიუს ფარგლებს, რამდენიმედღიანი სამეცნიერო კონფერენციის თემაა. მაინც შევეცდები, მოკლედ ჩამოვაყალიბო. არსებობს განათლების სისტემის რეფორმის ორი-სამი მოდელი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებმა გამოიყენეს და შესამჩნევ წარმატებებსაც მიაღწიეს. თავად საქართველოშიც დამუშავდა რამდენიმე საყურადღებო მოდელი, მაგრამ რატომღაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განხილვის ღირსადაც არ მიიჩნია. ამის ნაცვლად მან ფინანსების საკითხზე დაიწყო მსჯელობა. წვრილი ბიზნესისათვის დამახასიათებელი პარამეტრებითა და კატეგორიებით მეცნიერებას არსად ზომავენ, საქართველოს გარდა. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის დროს რესპუბლიკები ერთმანეთს ხელოვნურად გადააჯაჭვეს, როგორც ეკონომიკის, ასევე ფუნდამენტური კვლევების დარგში, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, მეცნიერება საბჭოურ მოვლენად გამოვაცხადოთ და მასზე უარი ვთქვათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკების უნივერსიტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და მეცნიერებათა აკადემიებს, მათ შორის, საქართველოს უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებსა და მეცნიერებათა აკადემიასაც, დარჩა საკმაოდ მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა, უამრავი ინფორმაცია, სერიოზული გამოკვლევები, ნაშრომები, დიდი მეცნიერული მიღწევები. ამ ყველაფრის ხელაღებით უარყოფა დაუშვებელი იყო (ათობით ქართველმა მეცნიერმა თემაზე მუშაობა დაიწყო აქ, ქართულ უნივერსიტეტებში, ხოლო როცა დამთავრებას აღარაფერი აკლდა, ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებში წავიდა სამუშაოდ თავის შედეგებიანად .სახელმწიფოც დიდ მოგებას მიიღებდა, მეცნიერიც, თუ მოხდებოდა დახმარება თემის როგორც დამუშავებაში, ასევე გაყიდვაში), ასევე,არ შეიძლებოდა იმ დიდი ტრადიციების უგულებელყოფა, რასაც იაკობ გოგებაშვილმა და ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარეს საფუძველი — არ მესმის, რაც კარგია და სასარგებლო, თანაც, შენი, რატომ უნდა თქვა უარი? შესასწავლი იყო თანამედროვე უნივერსიტეტების სასწავლო კურსი, პედაგოგიური ტექნოლოგიები, სწავლების ორგანიზაცია, ამა თუ იმ ქვეყნის ბაზრის (ასევე,საერთაშორისო ბაზრის) თავისებურებათა შესწავლა და იმის შესწავლა, როგორ რეაგირებენ უნივერსიტეტები ბაზრის მოთხოვნებზე ან ამ მოთხოვნათა ცვლილებებზე... ამის ნაცვლად, არჩეული იქნა განათლების გაიაფების კურსი, ოღონდ, იმ ანბანური ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლად, ყველა საქმეს ცოდნა რომ უნდა, და ვფიქრობ, არც იმ ძველი ქართული ანდაზის გახსენება იქნებოდა ზედმეტი, პური მეპურეს გამოაცხობინეო... საქმიანი მიდგომის ნაცვლად, იმ პრინციპს ექცევა ძირითადი ყურადღება,მ რომელიც უკვე მოგახსენეთ — ანუ, გაიაფებას, მოკლედ, რაც გნებავთ, დავარქვათ იმას, რაც ჩვენს განათლებაში ხდება, ოღონდ არა რეფორმა. ამას განათლების რეფორმა უკვე აღარ უნდა ერქვას.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ზურაბ ტატაშიძე



ქართულმა გეოგრაფიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, კარსტის აღიარებული მკვლევარი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ზურაბ ტატაშიძე.

ექვსი ათეული წლის მანძილზე იგი ჭაბუკური გატაცებით იკვლევდა ჩვენი ბუნების „ოქროს ფონდს“ საქართველოს მღვიმეებს. მის კალამს ეკუთვნის სამასზე მეტი სამეცნიერო სტატია და ათი მონოგრაფია, რომლებმაც ავტორს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ამიტომაც მას ხშირად იწვევდნენ საერთაშორისო ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე თუ კონგრესებზე.

განუზომელია ბატონი ზურაბის ღვაწლი ქართული გეოგრაფიული მეცნიერების, კერძოდ, სპელეოლოგიის განვითარებაში. ახალი ათონის მღვიმის აღმოჩენასა და შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ავტორთა კოლექტივთან ერთად ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

2007 წელს ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონი ზურაბი დაჯილდოვდა საქართველოს საპატრიარქოს სიგელით.

ბატონი ზურაბი სხვადასხვა დროს გახლდათ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

წავიდა ჩვენგან დიდებული მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი, მეცნიერების პოპულარიზატორი, ღირსეული მოქალაქე და უფროსი მეგობარი, რომელმაც დიდი გულისტკივილი და კეთილი მოგონებები დაგვიტოვა.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი, ივანე ჯაფარი ე, კუკური წიქარიშვილი**

მეუღლე ნუგზარ, შვილი ირაკლი, და დოდო, ძმა რეზო ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**დარეჯან ირაკლის ასულ ესებუა-ვეკუას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 14, 15 ივნისს, 18 საათზე, ნინოშვილის ქ.№38 (მარჯანიშვილი).

გამოსვენება: 16 ივნისს, 15 საათზე, ხარების სახ. ეკლესიიდან, ნუცუბიძის III პლატო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 14 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "ღვთაებრივი მიქელანჯელო" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 01.10** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"28 დღე"** (ს. ბალოკი) (სუბტ.) **00.50** მოამბე **02.10** აუდიტორია **03.10** მხ. ფილმი **"საბრალონი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ძველი საბერძნეთის გმირები" **20.00** მხ. ფილმი **"უკეთესი არ არსებობს"** **01.00** მხ. ფილმი **"ველური ძმედებები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობი"**... 

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) **04.40** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (18) (მ. ჯორჯი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00, 16.00** სახლი ბათუმში **11.50** სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მოკ. ფილმი **"ნუ მოიწყენთ შემოდგომისას"** **10.50** საქართველოს ისტორია **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თემო"** **13.30** კონცერტი – გიორგი ლაცაბიძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ. **"გამარჯობა ყველას"** **16.55** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფ. **"ერთი ცის ქვეშ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმები **01.45** კონცერტი – ხათუნა კოკოჩაშვილი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**14 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო —2,4216

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-25, ღამით — 14-16

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — 14-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-29, ღამით — 8-13

## ამინდის პროგნოზი 14 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## "დალასმა" ნბა-ს ჩემპიონატი პირველად მოიგო



**"დალას მავერიქსმა" პლეიოფის ფინალური სერიის მეექვსე მატჩში "მაიამი" დაამარცხა და პირველად ისტორიაში ნბა-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუშინ "დალასმა" 105:95 მოიგო, და ოთხ მოგებამდე სერიაში მეტოქე ანგარიშით 4:2 დაჯაბნა.**

"დალასის" მცველმა ჯეისონ ტერიმ 27 ქულა მოაგროვა. ტეხასელთა ფორვარდმა დირკ ნოვიცკიმ თავის კლუბს 21 ქულა მოუტანა და ამასთან სერიის ყველაზე ფასეული მოთამაშე გახდა საშუალოდ მატჩში მოპოვებული 26 ქულით.

"მაიამი ჰიტს" 21 ქულა ლებრონ ჯეიმსმა მოუტანა. 19 ქულა კრის ბოშმა ჩააგდო, 18 — მარიო ჩალმერსმა და 17 — ფლორიდული კლუბის მცველმა დუეინ უეიდმა.

"დალას მავერიქსმა" ბოლოს ნბა-ს ჩემპიონატის ფინალში 2006 წელს გააღწია. თუმცა მაშინ ტეხასელები ექვსი მატჩისგან შემდგარ სერიაში იმავე "მაიამი ჰიტთან" დამარცხდნენ.

დირკ ნოვიცკი:

— ამ დრომდე არ მჯერა, რომ ჩემპიონები გავხდით. ძალიან ბევრი და დიდხანს ვიმუშავეთ. გუნდმა წარმოუდგენელი გზა განვლო.

ერიკ სპოელსტრა:

— ასეთი მომენტისთვის მომზადება ყოველთვის ძალიან ძნელია. ერთ რამეს ვიტყვი. „მავერიქსს" გამარჯვება ჩვენზე მეტად ეკუთვნოდა.

## მათე ღვინიანიძე: „სევასტოპოლში" ჩამოსვლას სულაც არ ვნანობ"

მათე ღვინიანიძე წლეულს ზამთარში გადავიდა გერმანული "მიუნხენ 1860"-დან "სევასტოპოლში", რომელიც იმ პერიოდში ბოლოსწინა ადგილზე იყო და საბოლოოდ, ამ პოზიციაზევე დაასრულა ჩემპიონატი და ვიშა ლიგიდან გავარდა. მართალია, ღვინიანიძე კმაყოფილია იქაური პირობებით, თუმცა ამბობს, ჯერ საბოლოოდ არ ვიცი, დავრჩები თუ არა სევასტოპოლშიო.

მათე ღვინიანიძე:

— გასული სეზონი ორ კლუბში ვითამაშე, თუმცა, ჩემი "საფეხბურთო ტურნედან" სევასტოპოლი უფრო დამამახსოვრდა. "მიუნხენ 1860"-ში 4 წელი გავატარე და აშკარად მჭირდებოდა ადგილის შეცვლა. როცა აქ ჩამოვედი, მივხვდი, რომ "სევასტოპოლი" სერიოზული გუნდი იყო. ეგაა, პირველ წრეში მას


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## ასტროპროგნოზი
14 ივნისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე. **სასწორი** — სახლში კარგი ამბავია, შენაძენი გელით. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, თავი შეიკავეთ ექსპერიმენტებისაგან. **თხის რქა** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, ასე განაგრძეთ. **მერწყული** — ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს, განტვირთვის დღე არ გაწყენთ. **თევზები** — მშვიდად იმოქმედეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 14 ივნისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 7

მარკესი




გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი




## იუმორი

***

ქალი ექიმის კაბინეტში შევიდა:

— გაიხადეთ, თუ შეიძლება!

— რატომ? — წამოიძახა ქალმა, — მე ხომ ყური მტკივა!

— მაშინ, ჩემთან კი არა, ოკულისტთან უნდა მისულიყავით.

***

ბარმენი ნაცნობს ეუბნება:

— რა სამწუხაროა, გუშინ ერთი ჩვენი მუდმივი კლიენტი გარდაიცვალა, შესანიშნავი ადამიანი იყო, დღეში 30 კათხა ლუდს და ორ ლიტრ არაყს სვამდა.

— რითი მოკვდა?

— წარმოდგენა არა მაქვს...

***

ქმარი ნამძინარევი ხმით ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, გამორთე ტელევიზორი.

— არ შემიძლია, საყვარელო, კინოთეატრში ვართ...

***

— წითელ შუქნიშანზე გავლა წესების დარღვევად არ ითვლება, თუკი ძალიან ნელა გაივლი...

გ.თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 2. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 5. გემბანის წინა ნაწილი; 6. მთის ბროლის ქართული სახელწოდება; 8. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. ბრიტანული ლუდხანა.

**თარაზულად:** 1. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 9. მდგომარეობა კრივში; 10. კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი; 12. ფრანგი მწერალი ანრი ბეილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 16. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. დანიელი კარიკატურისტი მხატვარი; 20. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. ქართული სპორტული გაზეთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი